# პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა Facebook სივრცეში

თბილისი, საქართველო

დეკემბერი, 2020

CRRC Research

# პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა Facebook სივრცეში

თბილისი, საქართველო
დეკემბერი, 2020

## CRRC-საქართველოს შესახებ

CRRC-საქართველო არის არასამთავრობო, არაკომერციული კვლევითი ცენტრი, რომელიც აგროვებს, აანალიზებს და აქვეყნებს მონაცემებს ქვეყანაში მიმდინარე სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების შესახებ. CRRC-საქართველო სომხეთისა და აზერბაიჯანის ცენტრებთან ერთად ქმნის კვლევითი ცენტრების ქსელს, რომლის მიზანია საზოგადოებრივი მეცნიერებების კვლევებისა და საჯარო პოლიტიკის ანალიზის განვითარება სამხრეთ კავკასიაში.

## დაფინანსება

კვლევა განხორციელდა CRRC-საქართველოს მიერ ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მხარდაჭერითა და დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (UK aid from the British People) დაფინანსებით.

შენიშვნა: ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება, არ ასახავდეს ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობის ოფიციალურ პოზიციასა და შეხედულებებს.

უფლებები და ნებართვები

© კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, საქართველო

დოკუმენტის საავტორო უფლებები დაცულია და ნებართვის გარეშე დაუშვებელია მისი გამოყენება.

# სარჩევი


გრაფიკების ჩამონათვალი 4

ცხრილების ჩამონათვალი 4

შეჯამება 7

- მიგნებები 9
- რეკომენდაციები 11

შესავალი 15

- პოლიტიკურ-სამართლებრივი კონტექსტი 16
- საკვლევი კითხვები 18
- მეთოდოლოგია 19
  - ეთიკა 20
  - ექსპერტი გენდერის საკითხებში 20
- შეზღუდვები 20
  - რეპრეზენტატულობა და კომენტარების წაშლის პრაქტიკა 21
  - ენა 22
- შესწავლილი გვერდები 22
- ანგარიშის სტრუქტურა 25

მიგნებები 26

- ონლაინ ძალადობის ხასიათი 26
  - ნდობასა და პროფესიონალიზმთან დაკავშირებული ონლაინ ძალადობა 28
  - მიზოგინია და ზოგადი შეურაცხყოფა 30
  - მუქარა 32
  - გენდერული როლები 33
  - ჭკუასთან და ინტელექტთან დაკავშირებული ონლაინ თავდასხმები 35
  - გარეგნობასა და ასაკთან დაკავშირებული ონლაინ თავდასხმები 35
  - პარტიასთან/ობიეტიზაციასთან დაკავშირებული ონლაინ თავდასხმები 37
  - ოჯახთან/პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული ონლაინ თავდასხმები 38
  - სექსუალური ხასიათის კომენტარები 39

ონლაინ ძალადობის მოცულობა 40
ონლაინ ძალადობის წყაროები 44
ონლაინ ძალადობა და კომენტარის ავტორის სქესი 45
ქალი მაჟორიტარი კანდიდატების მიერ მოწოდებული ინფორმაცია 47
გენდერის ექსპერტის დასკვნა 47
რეკომენდაციები 50
პოლიტიკურ პარტიებს 50
საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას 53
საქართველოს პარლამენტს 54
საქართველოს მთავრობას 56
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 57
მედია საშუალებებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს 57
ბიბლიოგრაფია 59
დანართი 1: მეთოდოლოგია 61
მონაცემების შეგროვება 61
NVIVO 61
მანუალური („ხელით“) მონიტორინგი 62
CrowdTangle და იმპუტაცია 62
კანდიდატების მიერ პირდაპირ მოწოდებული ინფორმაცია 63
მონაცემების კონფიდენციალობა, დაცვა და შენახვა 63
კოდირება 64
დანართი 2: საკვანძო სიტყვების ვიზუალიზაცია 65
ქალი და კაცი მაჟორიტარი კანდიდატების მიმართ ძალადობის შემცველი კომენტარებიდან ამოკრეფილი საკვანძო სიტყვების ვიზუალიზაცია 65
ქალი მაჟორიტარი კანდიდატების მიმართ სიძულვილისა და მიზოგინიის შემცველი კომენტარებიდან ამოკრეფილი საკვანძო სიტყვების ვიზუალიზაცია 67

# გრაფიკების ჩამონათვალი

გრაფიკი 1: ონლაინ ძალადობის თითოეული ტიპის წილი მაჟორიტარი კანდიდატების სქესის მიხედვით ..... 27
გრაფიკი 2: ონლაინ ძალადობის კოეფიციენტის განაწილება სქესის მიხედვით . 41
გრაფიკი 3: ონლაინ თავდასხმები კანდიდატისა და კომენტარის სქესის მიხედვით ..... 46

# ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1: იდენტიფიცირებული და შემოწმებული გვერდები კანდიდატის სქესისა და გვერდის ტიპის მიხედვით ..... 23
ცხრილი 2: პოსტებისა და კომენტარების მოცულობა დადასტურებულ გვერდებზე/პროფილებზე სქესის მიხედვით ..... 23
ცხრილი 3: შესწავლილი გვერდებიდან/პროფილებიდან Facebook პოსტებისა და კომენტარების მოცულობა პარტიების მიხედვით ..... 24
ცხრილი 4: პირველი ათი კანდიდატი ონლაინ ძალადობის კოეფიციენტის მიხედვით (აგვ.31-ნოემ. 2) ..... 42
ცხრილი 5: პირველი ათი კანდიდატი შეურაცხმყოფელი კომენტარების რაოდენობის (აბსოლუტური რიცხვების) მიხედვით (აგვ.31-ნოემ. 2) ..... 43
ცხრილი 6: უწყინარი და ძალადობრივი კომენტარები მათი ავტორების სქესის მიხედვით..... 45

# შეჯამება

მოცემული დოკუმენტი წარმოადგენს პოლიტიკოსი ქალების წინააღმდეგ ონლაინ ძალადობის შემსწავლელი ორთვიანი მონიტორინგის შედეგებს. სოციალური მედიის მონიტორინგი ჩაატარა CRRC-საქართველომ 2020 წლის 31 აგვისტოდან და 21 ნოემბრამდე პერიოდში, NDI-საქართველოსთან პარტნიორობით. კვლევის მიზანი იყო, შეესწავლა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მაჟორიტარი კანდიდატების Facebook პოსტებზე განთავსებული შეურაცხმყოფელი და შემავიწროებელი ხასიათის კომენტარები.

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა და არჩევნებში ქალთა მიმართ ძალადობა გულისხმობს აგრესიულ, შეურაცხმყოფელ და ძალადობრივ ქცევებს, რომლებიც მიმართულია ქალი პარლამენტარების, კანდიდატების, აქტივისტებისა და სხვა საჯარო ფიგურების მიმართ. აღნიშნულმა ქცევებმა შესაძლოა, გაამყაროს ტრადიციული სტერეოტიპები და პატრიარქალური გენდერული როლები; ასევე, აღნიშნულით ხდება  პოლიტიკოსი ქალების გაკონტროლება და საჯარო ცხოვრებაში მათი ჩართულობის შეზღუდვა. ონლაინ კონტექსტში, მსგავსი კონტენტი მარტივად ვრცელდება სოციალური მედიის საშუალებით და შესაძლოა, გამოვლინდეს საჯარო კომენტარების და/ან პირადი შეტყობინებების სახით, რომელიც შეიცავს მიზოგინიას, აგრესიულ ან სექსუალიზებულ ლექსიკას, ძალადობის მუქარას (სექსუალურ ან სხვა სახის), ასევე სხვა სახის პირად შეურაცხყოფებს. მსგავსი თავდასხმები უარყოფითად მოქმედებს პოლიტიკაში ჩართული ქალების ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. ქალის იძულებითი გაჩუმება კი წარმოადგენს ადამიანის უფლებების დარღვევას.  ამასთან, საჯარო სივრცეში მოღვაწე ქალებზე ღია თავდასხმები ძირს უთხრის დემოკრატიულ პროცესებს, ვინაიდან არღვევს ქალების ფუნდამენტურ უფლებას - პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობის შესახებ.

წარმოდგენილი ანგარიში შეისწავლის 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე მაჟორიტარობის ქალი კანდიდატების შევიწროვების ხასიათს, მოცულობასა და წყაროებს. კვლევის მონაცემები შეგროვდა მანუალური და ავტომატიზებული მიდგომების კომბინაციის საშუალებით. მკვლევრებს დამატებითი მონაცემები (შეურაცხყოფისა და ძალადობის შემცველი კომენტარები და პირადი შეტყობინებები) მაჟორიტარობის ქალი კანდიდატების სოციალური მედიის ჯგუფებმა „სქრინშოთების“ სახით მიაწოდეს.

# მიგნებები

## ონლაინ ძალადობის ხასიათი

ქალთა მიმართ ონლაინ ძალადობა უმეტესად გენდერული ნიშნით ვლინდებოდა: ქალები არსებითად მეტ კომენტარს იღებდნენ პირად და სექსუალურ ცხოვრებასთან დაკავშირებით, ვიდრე მათი კაცი კოლეგები. უმეტესად, თავდასხმები აძლიერებდა პატრიარქალურ გენდერულ ნორმებს, რომ ქალი კანდიდატების როლი სახლში ყოფნაა ან მათ გარეგნობას და/ან სექსუალურობას უსვამდა ხაზს. ქალ კანდიდატთა საჯარო სტატუსს ხშირად მიაწერდნენ მათ პირად ან სექსუალურ კავშირს ცნობად კაცთან. მსგავსი დინამიკა არ შეიმჩნეოდა კაცი კანდიდატების შემთხვევაში.

ორივე სქესის კანდიდატმა უკიდურესად უხამსი, ხშირად ვულგარული და სექსუალიზებული ენით დაწერილი კომენტარები მიიღო. თუმცა, კომენტარებში შეინიშნებოდა სქესთა შორის განსხვავება იმის მიხედვით, თუ რა მხრივ იყო უხამსი ესა თუ ის კომენტარი. ქალების შემთხვევაში უხამსი კომენტარები პირადად მათ მიემართებოდა, ხოლო კაცი კანდიდატების შემთხვევაში შეურაცხყოფდა ქალს მათ ცხოვრებაში (მაგალითად, დედას, ცოლს). ამგვარად, უმეტესად, ონლაინ ძალადობის სახით გავრცელებული სიბინძურე პირდაპირ ან ირიბად მაინც ქალისკენ იყო მიმართული.

ქალ და კაც კანდიდატზე თავდასხმები განსხვავდებოდა გამოყენებული ლექსიკის მიხედვით, თუმცა, ონლაინ ძალადობის გარკვეული ფორმები გვხვდებოდა როგორც ქალ, ასევე კაც კანდიდატებთან. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ონლაინ ძალადობის ყველაზე ხშირი ფორმა შეეხებოდა კანდიდატების სანდოობასა და საიმედოობას. ამ შინაარსის თავდასხმები ორივე სქესის შემთხვევაში ძალიან ჰგავდა ერთმანეთს გამოხატვის ფორმით (მაგალითად, უცხოელ აქტორებთან აფილირება).

## ონლაინ ძალადობის მოცულობა

კვლევამ გამოავლინა ათასობით შეურაცხმყოფელი კომენტარი[1], რომელიც მიმართული იყო 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე როგორც ქალი,

[1] კვლევისას შესწავლილ იქნა მაჟორიტარობის კანდიდატების პოსტები და კომენტარები. თუმცა, ყურადღება ძირიდად გამახვილებული იყო კომენტარებზე, როგორც თავდასხმების ძირითად წყაროზე.

ასევე კაცი კანდიდატების მიმართ. დაკვირვებამ აჩვენა, რომ კვლევის პერიოდში ქალი კანდიდატები მეტად ხდებოდნენ ონლაინ გენდერული ნიშნით ძალადობის სამიზნე. კვლევის პერიოდში მათ დაახლოებით სამჯერ მეტი შეურაცხყოფა მიიღეს, ვიდრე მათმა კაცმა კოლეგებმა. მიუხედავად გენდერული კვოტისა, რომელიც პარტიულ სიაში მეტი ქალი წარმომადგენლის გამოჩენას გულისხმობს, მაჟორიტარი კანდიდატების უმეტესობა კვლავ კაცი იყო. მიუხედავად იმისა, რომ პარტიებმა ცოტა ქალი ჩასვეს პარტიული სიის სათავეში და ისინი მაჟორიტარობის კანდიდატების მხოლოდ 22%-ს წარმოადგენდნენ, ონლაინ ძალადობის კოეფიციენტის მიხედვით, პირველი ათეულის 60% სწორედ ქალებმა დაიკავეს, აბსოლუტური რიცხვების[2] მიხედვით კი - 40%. ორი ყველაზე დიდი პარტიის: „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატებმა, პატარა პარტიების კანდიდატებთან შედარებით, ნაკლები ონლაინ თავდასხმა მიიღეს. მაგალითად, ევროპული საქართველოს კანდიდატების შემთხვევაში, ონლაინ თავდასხმას გამორჩეულად დიდი მოცულობა ჰქონდა.

საინტერესოა ის, რომ ონლაინ ძალადობის მოცულობა არ შემცირებულა არჩევნების შემდეგ. 3-21 ნოემბრის პერიოდში, მკვლევრებმა 2,502 კომენტარი შეურაცხმყოფლად მიიჩნიეს, ონლაინ თავდასხმების ხასიათი კი - იგივე დარჩა.

## ონლაინ თავდასხმის წყაროები

მაჟორიტარი კანდიდატების გვერდებზე გამოქვეყნებული პოსტების კომენტარების შესწავლისას, ყურადღება ექცეოდა კომენტარის დამწერის სქესს. მაშინ, როცა კაცები აგრესიული კომენტარების წერით გამოირჩეოდნენ, ქალები შესამჩნევად მეტ ონლაინ თავდასხმას ახორციელებდნენ, როგორც პროპორციული, ასევე აბსოლუტური მაჩვენებლით.[3] ქალმა კანდიდატებმა, პროპორციულად მეტი ონლაინ თავდასხმა ქალებისგან (62%) მიიღეს, ვიდრე - კაცებისგან (38%). ამის მსგავსად, მცირედით მეტი შეურაცხმყოფელი კომენტარის ავტორი იყო კაცი (53%), როცა საქმე კაც მაჟორიტარებს ეხებოდა. ასევე აღსანიშნავია, რომ

[2] 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობდა მაჟორიტარობის 491 კანდიდატი, რომელთაგან 107 იყო ქალი. მონიტორინგმა მოიცვა მაჟორიტარობის კანდიდატის 243 ფეისბუქ გვერდი/საჯარო პროფილი. მათგან 47 ქალი იყო, ხოლო 196 - კაცი.

[3] CRRC-საქართველოს მიერ ინტერნიუს-საქართველოსთვის ჩატარებული ბოლო დროინდელი წარმომადგენლობითი კვლევა აჩვენებს, რომ ქალები მეტად იყენებენ ფეისბუქს, ვიდრე კაცები. https://internews.org/resource/georgia-information-ecosystem-assessment?fbclid=IwAR2Lvrt_5O2vhKMSDp-CtDM_DtYyF7oTUur1s5QyaqJMFJlb5tNh4ScGd7k

კომენტარის ავტორების უმრავლესობის სქესი კვლევისას ვერ დადგინდა, სოციალურ ქსელში მათ მიერ მითითებული სახელების გამო.[4]

## რეკომენდაციები

კვლევა აჩვენებს, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ქალები არაპროპორციულად მეტად ხდებოდნენ ონლაინ ძალადობის მსხვერპლი, ვიდრე კაცები. აღნიშნული თავდასხმები არა მხოლოდ შეურაცხყოფს ქალი კანდიდატების ღირსებას, არამედ, ეჭვქვეშ აყენებს მთელი პოლიტიკური პროცესის ლეგიტიმურობას და პოლიტიკურ პროცესში ქალთა თანაბარი ჩართულობის ბარიერს წარმოადგენს.

ყველა, ვინც ჯანსაღი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფაზეა პასუხისმგებელი, მოვალეა, მიიღოს ზომები, რომ ქალი კანდიდატები პოლიტიკურ პროცესებში ისევე მონაწილეობდნენ, როგორც კაცები. ამ მიმართულებით კონკრეტული ქმედებებია საჭირო, რომ პოლიტიკური დიალოგი უსაფრთხო და ცივილურ გარემოში შედგეს, ხოლო პოლიტიკური კამპანიის წარმოებისას ქალ კანდიდატებს შესაბამისი მხარდაჭერა ჰქონდეთ.

### პოლიტიკურ პარტიებს

**A.** გენდერული თანასწორობა გახდეს პარტიის საარჩევნო სტრატეგიის ნაწილი: გენდერული თანასწორობა და ქალთა გაძლიერება მკაფიოდ უნდა აღინიშნოს პოლიტიკური პარტიის ყველა დოკუმენტის, შინაგანაწესისა თუ პოლიტიკის დოკუმენტის (მაგალითად, პოლიტიკური პარტიის პროგრამა) მიზნებსა და პრინციპებში ქალთა თანაბარი მონაწილეობის მხარდასაჭერად.

**B.** გენდერული თანასწორობა უნდა გახდეს პარტიის პოლიტიკური კომუნიკაციის სტრატეგიის ნაწილი, ონლაინ საკომუნიკაციო არხების ჩათვლით.

[4] ანგარიში ასევე ითვალისწინებს, რომ ფეისბუქ გვერდები/ანგარიშის მენეჯერები ხშირად მიმართავენ გავრცელებულ პრაქტიკას და შეურაცხმყოფელ კომენტარებს შლიან. ეს პრაქტიკა პროექტის საწყის ეტაპზე გამართული შეხვედრებისას ქალი კანდიდატების სოციალური მედიის მენეჯერებმა დაადასტურეს.

C. უნდა დაწესდეს შიდა გენდერული კვოტა (ფორმალური და არაფორმალური)[5], რათა შეიცვალოს ქალთა ისტორიულად მცირე წარმომადგენლობა პოლიტიკაში, მათ შორის ხელმძღვანელ პოზიციებზე და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

D. პოლიტიკურ პარტიებში უნდა შეიქმნას შიდა მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს პარტიის წევრთა ცნობიერების ამაღლებას ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის ნებისმიერი ფორმის (მათ შორის ონლაინ ძალადობის) იდენტიფიკაციის, პრევენციისა და შესაბამისი რეაგირების მიმართულებით.

## საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას

A. ჩაატაროს კამპანიები პოლიტიკური პარტიებისა და მათი მხარდაჭერების ცნობიერების ასამაღლებლად არჩევნებზე ქალთა მიმართ ძალადობის ონლაინ თუ ოფლაინ ფორმებზე და უზრუნველყოს არჩევნებზე ქალთა მიმართ ძალადობის ყველანაირი ფორმის ძალადობის მონიტორინგისა და რეაგირებისთვის საჭირო მექანიზმების დანერგვა.

B. უზრუნველყოს, რომ პოლიტიკურ პარტიებს ჰქონდეთ ისეთი ქცევის კოდექსი, რომელიც პარტიებსა და კანდიდატებს აუკრძალავს ქალთა მიმართ ონლაინ ძალადობის განხორციელებასა და ამის წახალისებას.

## საქართველოს პარლამენტს

A. არსებულ საკანონმდებლო ჩარჩოში ასახოს პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის საწინააღმდეგო მოქმედებები და საკითხი დაუკავშიროს ქალთა მიმართ ძალადობის და/ან თანასწორი პოლიტიკური მონაწილეობის შესახებ კანონებს.

B. დამატებით გამოიკვლიოს პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის ფორმები, მათ შორის ონლაინ სივრცეში, როგორ მჟღავნდება იგი ქართულ

[5] საკანონმდებლო ბაზა სხვადასხვა სახის კვოტირების სისტემას იცნობს: კვოტები, რომლებიც კანონმდებლობითაა განსაზღვრული; კვოტები, რომლებსაც პოლიტიკური პარტიის შინაგანაწესი და საჯარო პოლიტიკის დოკუმენტები (ფორმალური) განსაზღვრავს; და უფრო არაფორმალური, ე.წ. „რბილი კვოტები“, რომლებიც პოლიტიკური შერჩევის პროცესში კანდიდატების შერჩევისას გენდერულ უთანასწორობას აბალანსებს.

სოციალურ-კულტურულ რეალობაში და რა გავლენას ახდენს პარლამენტის წევრ ქალებზე.

C. აამაღლოს პარლამენტის წევრების (კაცებისა და ქალების) ცნობიერება პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობასა და მის ყველა გამოვლინებაზე,

D. მიიღოს რეზოლუცია, რომელიც დაგმობს პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობას, მის ყველა ფორმას, და შექმნას პლატფორმა პარლამენტში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო პრაქტიკისა და საერთაშორისო გამოცდილების გასაზიარებლად.

## საქართველოს მთავრობას

A. პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის საკითხი პრიორიტეტად გამოაცხადოს სამართალდამცავი ორგანოებისა და სახელმწიფო სტრუქტურებისთვის, რომლებიც მუშაობს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციასა და ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებაზე.

B. შეიმუშავოს და დანერგოს პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის, მათ შორის ონლაინ ძალადობის შესახებ საჩივრების დარეგისტრირებისა და მასზე რეაგირების სპეციალური მექანიზმები როგორც ახალ, ასევე არსებულ სახელმწიფო სტრუქტურებში, პოლიციის განყოფილებების, საარჩევნო ადმინისტრაციისა და საქართველოს სახალხო დამცველის ჩათვლით.

## საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

A. პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის საწინააღმდეგო მოქმედებები ასახოს რისკების შეფასების არსებულ მეთოდოლოგიასა და მონიტორინგის მექანიზმებში.

B. აამაღლოს სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენელთა ცნობიერება პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობაზე, მათ შორის, ონლაინ სივრცეში.

## მედია საშუალებებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს

**A.** პოლიტიკურ პარტიებთან და არჩეულ თანამდებობის პირებთან ადვოკატირება გაუწიონ პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის საკითხს; მოაწყონ სამოქალაქო საზოგადოების შეხვედრები, სადაც სხვადასხვა ჩართული მხარეები განიხილავენ პოლიტიკაში ქალთა მიმართ ონლაინ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის გზებს და ცვლილების დასაჩქარებლად საჭირო ინტერვენციას საქართველოს კონტექსტში.

**B.** არჩევნებზე დაკვირვების ფარგლებში გააგრძელონ საარჩევნო დამკვირვებლებისა და სამოქალაქო ორგანიზაციების მხარდაჭერა პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის (ყველანაირი ფორმით, მათ შორის, ონლაინ სივრცეში) მონიტორინგის განხორციელებაში. განსაკუთრებით, მოხდეს იმ ორგანიზაციების გაძლიერება, რომლებიც ამონიტორინგებენ სოციალურ მედიასა და დეზინფორმაციას არჩევნების პერიოდში, პოლიტიკაში ქალთა მიმართ ონლაინ ძალადობის მიმართულებით.

# შესავალი

მოცემული ანგარიში წარმოადგენს ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) ფინანსური დახმარებით, CRRC-საქართველოს მიერ ორი თვის განმავლობაში ჩატარებული კვლევის შედეგს, რომელიც 2020 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნების მონაწილე ქალი პოლიტიკოსების მიმართ ონლაინ ძალადობას აკვირდებოდა. კვლევა შეისწავლის მაჟორიტარი კანდიდატების მიერ Facebook გვერდებსა და ანგარიშებზე გამოქვეყნებულ პოსტებზე განთავსებულ შეურაცხმყოფელ და შემავიწროებელ კომენტარებს. კვლევა ეყრდნობა 2020 წლის 31 აგვისტო - 21 ნოემბრის პერიოდში კანდიდატების Facebook გვერდებზე/ანგარიშებზე აქტივობების ინტენსიურ მონიტორინგს.

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა (VAWP)[6] და არჩევნებში ქალთა მიმართ ძალადობა (VAWE)[7] შეიცავს აგრესიული, შეურაცხმყოფელი და ძალადობრივი ქმედებების მთელ ჯაჭვს, რომელიც მიმართულია ქალი პარლამენტარების, კანდიდატების, აქტივისტებისა და სხვა საჯარო ფიგურების მიმართ. აღნიშნულმა ქცევებმა შესაძლოა, გაამყაროს ტრადიციული სტერეოტიპები და პატრიარქალური გენდერული როლები; ასევე, შესაძლოა გახდეს პოლიტიკოსი ქალების კონტროლისა და საჯარო ცხოვრებაში მათი ჩართულობის შეზღუდვის ინსტრუმენტი. ონლაინ კონტექსტში, მსგავსი კონტენტი მარტივად ვრცელდება სოციალური მედიის საშუალებით და შესაძლოა, გამოვლინდეს საჯარო კომენტარების და/ან პირადი შეტყობინებების სახით, რომელიც შეიცავს მიზოგინიას, აგრესიულ ან სექსუალიზებულ ლექსიკას, ძალადობის მუქარას (სექსუალურ ან სხვა სახის), ასევე სხვა სახის პირად შეურაცხყოფებს.

[6] Krook 2020

[7] Schneider and Carroll 2020

მსგავსი თავდასხმები უარყოფითად მოქმედებს პოლიტიკაში ჩართული ქალების ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. ქალის იძულებითი გაჩუმება კი წარმოადგენს ადამიანის უფლებების დარღვევას. ამასთან, საჯარო სივრცეში მოღვაწე ქალებზე ღია თავდასხმები ძირს უთხრის დემოკრატიულ პროცესებს, ვინაიდან არღვევს ქალების ფუნდამენტურ უფლებას - პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობის შესახებ.

## პოლიტიკურ-სამართლებრივი კონტექსტი

კვლევა შეისწავლის პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობისა და არჩევნებში ქალთა მიმართ ძალადობის ფენომენს, კერძოდ, ძალადობის ონლაინ ფორმებს, რომელიც ქვეყანაში ყველაზე პოპულარულ სოციალური მედიის პლატფორმა Facebook-ზე გვხვდება.[8] 2020 წლის ივნისში, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონი, რომელიც პარტიებს ავალდებულებს არჩევნებზე პარტიული სიის 25% „განსხვავებული სქესით“[9] დააკომპლექტოს. ამ ცვლილებამ გაზარდა ქალი პოლიტიკოსების რაოდენობა, რაც ქვეყნის კანონმდებელ ორგანოში ქალების მინიმალურ წარმომადგენლობას უზრუნველყოფს. ამასთან, ამ ყველაფერმა მეტი ქალი გახადა გენდერული ნიშნით პოლიტიკური თავდასხმების (ონლაინ სივრცის ჩათვლით) პოტენციური მსხვერპლი.[10]

საქართველოში ქალ პოლიტიკოსებს პოლიტიკური ნიშნით ონლაინ დევნის გამორჩეულად სახიფათო გამოცდილება აქვთ. ყველაზე გახმაურებულ შემთხვევაში, ცნობილი ქალი პოლიტიკოსის პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეო

---

[8] კავკასიის ბარომეტრი 2019, CRRC-საქართველო

https://caucasusbarometer.org/en/cb2019ge/INTACFB/?fbclid=IwAR2YlqSNOcS9W5jwxbtpqmAg55Yysj2WJvZQGMEy4ZldNqlsaJJ4GpZhB2U

[9] “Georgia Takes on Male-Dominated Parliament with Gender Quotas | Eurasianet” 2020

[10] მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველი ინსტრუმენტები და მექანიზმები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, გამოწვევად რჩება კიბერ-ბულინგი და კიბერ-მუქარები პოლიტიკურად აქტიური ქალებისა და უფლებადამცველი ქალების მიმართ, რადგანაც ამ დანაშაულებზე სამართალდამცველი ორგანოების რეაგირება ეფექტური არ არის და პრობლემის მასშტაბს ვერ ეხმიანება. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2018.

გავრცელდა, რამაც მმართველ პარტიაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.[11] სიტუაციას კიდევ უფრო ართულებს ის, რომ ასეთი შემთხვევები სრულად არ გამოძიებულა, პროკურორებმა კი ვერ შეძლეს სასამართლოს წინაშე ვიდეოს შემქმნელებისა და გამავრცელებლების წარდგენა.[12]

პირადი ცხოვრების კადრებით შანტაჟის ფაქტები ხაზგასმულია მემორანდუმში, რომელსაც 2020 წლის სექტემბერში პოლიტიკოსმა ქალებმა მოაწერეს ხელი. მას უწოდეს ვიდეოსა და პოლიტიკოსების პირადი ცხოვრების ამსახველი სხვა სახის მასალების გავრცელების წინააღმდეგ მიღებული აქტი. მემორანდუმში ვკითხულობთ: „ბოლო წლებში ხშირად ხდება პოლიტიკოსებისა თუ სხვა საჯარო პირების პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების სხვადასხვა საშუალებით გავრცელება ან ამ კადრების გავრცელებით მანიპულირება და შანტაჟი. ამ მხრივ, განსაკუთრებული სამიზნე ქალები არიან. პირადი ცხოვრებით მანიპულირება ან მისი გასაჯაროება ქალების პოლიტიკიდან განდევნის, მათი მორალური დისკრედიტაციის და სრული მარგინალიზაციის ყველაზე სასტიკი მეთოდია. დაუშვებელია სექსუალური ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის გამოყენება დაშანტაჟების, შერცხვენის, დაშინების მიზნით.“[13]

[11] „ეკა ბესელია მის წინააღმდეგ განხორციელებული „მორალური ტერორის“ უკან მდგარი პირების გამოვლენას ითხოვს“ 2019

[12] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2016

[13]ქალმა პოლიტიკოსებმა მემორანდუმი გააფორმეს - „დაუშვებელია სექსუალური ცხოვრების ამსახველი ინფორმაციით შანტაჟი" პუბლიკა, 2020. https://publika.ge/qalma-politikosebma-memorandumi-gaaformes-daushvebelia-seqsualuri-ckhovrebis-amsakhveli-informaciit-shantadji/

# საკვლევი კითხვები

კვლევა შეისწავლის ქალი პოლიტიკოსების მიმართ ონლაინ ძალადობის ხასიათსა და მოცულობას; კერძოდ, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე ქალ პოლიტიკოსთა შეურაცხყოფასა და შევიწროვებას. კვლევაში ცდილობს უპასუხოს შემდეგ კითხვებს:

- რამდენად არიან მაჟორიტარობის ქალი კანდიდატები Facebook-ზე ონლაინ ძალადობის სამიზნე?
- არიან თუ არა მაჟორიტარობის ქალი კანდიდატები ონლაინ თავდასხმის მომეტებული რისკის ქვეშ და დაკავშირებულია თუ არა მათი პოლიტიკური აფილიაცია შეურაცხყოფის მიღების მაღალ ალბათობასთან?
- რამდენად უკავშირდება ონლაინ თავდასხმის მსხვერპლად ყოფნის ალბათობა მის სქესს?
- კანდიდატების მიმართ ონლაინ თავდასხმის რა ფორმებს ვხვდებით და რამდენად განსხვავდება ეს ფორმები კანდიდატთა სქესის მიხედვით?

# მეთოდოლოგია

კვლევა იყენებს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე მაჟორიტარობის კანდიდატების Facebook გვერდებზე განთავსებული პოსტების კომენტარების მანუალურად კოდირებულ მონაცემებს. მკვლევართა ჯგუფმა გენდერის საკითხებში ექსპერტის ჩართულობით შეიმუშავა ონლაინ ძალადობის კატეგორიები. მონაცემების კოდირება მანუალურად გაკეთდა აღნიშნული კატეგორიების მიხედვით. კვლევის პროცესს წინ უძღოდა მაჟორიტარობის ქალ კანდიდატებთან და მათი სოციალური მედიის გუნდთან შეხვედრა. აღნიშნულ შეხვედრებზე ქალმა პოლიტიკოსებმა და მათი სოციალური მედიის გუნდებმა გაგვიზიარეს გამოცდილება სოციალური მედიის საშუალებით მიღებულ თავდასხმებზე, მათ შინაარსსა და მიზანზე. მონიტორინგისას მონაცემთა კოდირება ხორციელდებოდა შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

- ასაკთან დაკავშირებული შეურაცხყოფა/თავდასხმა,
- გარეგნობასთან დაკავშირებული შეურაცხყოფა/თავდასხმა,
- ოჯახთან/პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული შეურაცხყოფა/თავდასხმა,
- გენდერულ როლებთან დაკავშირებული შეურაცხყოფა/თავდასხმა,
- კანდიდატის პროფესიონალიზმთან, გონებრივ შესაძლებლობებთან, მის ჭკუასა და განათლებასთან დაკავშირებული შეურაცხყოფა/თავდასხმა,
- ობიექტივიზაცია,
- ნდობა/სანდოობასთან დაკავშირებული თავდასხმა,
- მიზოგინია, სიძულვილი, ზოგადი შეურაცხყოფა,
- პარტიასთან დაკავშირებული შეურაცხყოფა/თავდასხმა,
- ფსევდო კომპლიმენტები.

აგრეთვე, მონიტორები შეურაცხმყოფელი კომენტარებიდან ინიშნავდნენ საკვანძო სიტყვებს, რათა თავდასხმის ანალიზისას ხშირად გამოყენებული ტერმინების ხაზგასმა მომხდარიყო.

კვლევისათვის მონაცემების შეგროვება მოხდა მანუალური და ავტომატიზებული მიდგომების კომბინაციით. მკვლევრებს დამატებითი მონაცემები (წაშლილი შეურაცხმყოფელი კომენტარები და პირადი შეტყობინებები) მაჟორიტარი ქალი კანდიდატების სოციალური მედიის ჯგუფებმა „სქრინშოთების“ სახით მიაწოდეს.

## ეთიკა

კვლევის პერიოდში, მონაცემთა შეგროვება მოხდა Facebook-ის კომენტარების ავტორთა კონფიდენციალობის სრული დაცვით. კერძოდ კი, მონაცემთა ავტომატური შეგროვებისას და მონაცემთა ბაზის კოდირებისთვის მომზადებისას, იშლებოდა კომენტარების ავტორების სახელები. კოდირების მანუალური მიდგომის შემთხვევაში კი - კომენტარის ავტორთა სახელების აღრიცხვა საერთოდ არ ხდებოდა.

ანალიზის ნაწილში, შედეგების გასამყარებლად აგრეთვე მოყვანილია კომენტარების სახით განხორციელებული თავდასხმის კონკრეტული მაგალითები. აქვე აღვნიშნავთ, რომ კანდიდატების სახელები და სხვა ტიპის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია ამოღებულია და ჩანაცვლებულია ფიგურული ფრჩხილებით, რათა თავიდან ავიცილოთ ძალადობის მეტად გავრცელება.

## ექსპერტი გენდერის საკითხებში

პროექტის საწყისი ეტაპიდან კვლევის განხორციელებაში ჩართული იყო დამოუკიდებელი ექსპერტი გენდერის საკითხებში - ანა ილურიძე. იგი 2016-2020 წლებში იკავებდა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერის დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოზიციას. გენდერის ექსპერტმა გადახედა კვლევის მეთოდოლოგიას და ჩაერთო კოდირების კატეგორიების შემუშავების პროცესში. აგრეთვე, მან შესაბამისი ტრენინგი ჩაუტარა მონიტორებს და შეიმუშვა რეკომენდაციები ქალი პოლიტიკოსების მიმართ განხორციელებული ონლაინ ძალადობისა და კიბერ-ბულინგის უკეთესი პრევენციის, იდენტიფიცირებისა და გამკლავების მიზნით.

# შეზღუდვები

Facebook პლატფორმა გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს მონაცემთა დიდი რაოდენობით შეგროვებისას, კერძოდ, ქვეჯგუფების ანალიზისას (მაგ.: სქესი, პარტია). აგრეთვე, გასათვალისწინებელია ქართული Facebook-ის მრავალენოვანი ხასიათი, რაც აგრეთვე გარკვეულ წინაღობას წარმოადგენს მონაცემთა მონიტორინგის პროცესში.

## რეპრეზენტატულობა და კომენტარების წაშლის პრაქტიკა

რეპრეზენტატული მონაცემების შეგროვება ვერ მოხერხდა. კანდიდატთა ნახევარზე მეტს (ქალი კანდიდატების დაახლოებით ორი მესამედი) ონლაინ პლატფორმაზე საჯარო პროფილი ან გვერდი საერთოდ არ ჰქონდა. იმ კანდიდატებს შორის კი, ვინც ამომრჩეველთან კომუნიკაციისთვის ამ ონლაინ საშუალებას იყენებს, დაკვირვება სამი სხვადასხვა ტიპის ანგარიშზე მიმდინარეობდა: Facebook გვერდებზე, დადასტურებულ პროფილებსა და დაუდასტურებელ პროფილებზე. მონაცემთა ავტომატური შეგროვება, რომელიც NVIVO ინსტრუმენტის საშუალებით ხორციელდებოდა, შესაძლებელი იყო მხოლოდ Facebook გვერდებისა და დადასტურებული პროფილებიდან. აღნიშნული ხელსაწყო საშუალებას იძლევა, ერთბაშად შეგროვდეს დიდი რაოდენობით კომენტარი ბევრი სხვადასხვა გვერდიდან.[14]

იმ გვერდებსა თუ პროფილებზე, სადაც მონაცემთა ავტომატური შეგროვება ვერ მოხერხდა, მონაცემები მანუალურად შეგროვდა, რაც მნიშვნელოვანი განსხვავებაა მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგიის მხრივ (იხ. დანართი 1). როგორც მანუალურად, ასევე ავტომატურად შეგროვებული მონაცემების შემთხვევაში გამოწვევად დარჩა კანდიდატების მიერ წაშლილი შეურაცხმყოფელი კომენტარები და ზოგიერთი კანდიდატის გამორჩეულად მაღალი აქტივობა სხვებთან შედარებით. აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის პერიოდში წაიშალა ხუთი გვერდი, თუმცა, ამ გვერდებზე შეგროვებულ მონაცემთა გარკვეული რაოდენობა შესულია კვლევის პროცესში შეგროვებულ საერთო მონაცემებში.

ზემოთ ჩამოთვლილი არცერთი საკითხი სრულად არ ითვალისწინებს შემთხვევითობის პრინციპს, რადგან ირღვევა უმეტესი სტატისტიკური ტესტის დაშვების არსი. შესაბამისად, ამ ანგარიშში მოყვანილი ნებისმიერი სახის დაკვირვება მიანიშნებს ტენდენციაზე, თუმცა, არ აქვს პრეტენზია სრულ წარმომადგენლობითობაზე.

[14] მონაცემთა ავტომატური შეგროვება ოთხ ტალღად გაკეთდა. თითოეული ტალღის წარუმატებლობის მაჩვენებელი მერყეობდა 40-დან 60%-მდე.

### ენა

ეთნიკური უმცირესობების მაჟორიტარი კანდიდატების Facebook გვერდებზე კომენტარების გარკვეული ნაწილი აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე გვხვდებოდა. აღნიშნულ კომენტარებზე დაკვირვება არ მომხდარა, რადგან მონიტორების სამუშაო ენა ქართული და რუსული იყო.

## შესწავლილი გვერდები

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობდა მაჟორიტარობის 491 კანდიდატი 41 პარტიიდან (აქედან 105 ქალი[15]). ისინი წარდგენილნი იყვნენ საქართველოს 30 საარჩევნო უბანში.[16] 243 კანდიდატს ჰქონდა Facebook-ზე გარკვეული სახის აქტივობა (Facebook გვერდი, პროფილი ან დადასტურებული პროფილი), რომელთაგანაც 243-ზე დაკვირვება მოხდა.[17] ზოგიერთი დადასტურებული პროფილი შედარებით პატარა პარტიებს ეკუთვნის. მათზე დაკვირვება ვერ მოხერხდა, რადგან ისინი პროექტის მიმდინარეობისას მოგვიანებით შეიქმნა და იდენტიფიცირდა.

[15] ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 2020 წლის 15 სექტემბერს გამოქვეყნებული სიის მიხედვით.

[16] აღნიშნული გრაფიკი წარმოადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 2020 წლის სექტემბერში გამოქვეყნებული სიების შეერთებულ ვერსიას. იგი განახლდა კანდიდატურების მოხსნის შემდეგ. შესაბამისად, შესაძლოა არ ემთხვეოდეს ოფიციალურად გამოქვეყნებულ გრაფიკებს.

[17] დაბალი აქტივობის მქონე გვერდების/პროფილების მონაცემების ნაწილი ანგარიშში აღარ შედის, რადგან ისინი კანიდატურის მოხსნის შემდეგ წაიშალა.

*ცხრილი 1: იდენტიფიცირებული და შემოწმებული გვერდები კანდიდატის სქესისა და გვერდის ტიპის მიხედვით*

| | | ვალიდური | | | | არავალიდური | | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სქესი | გვერდი | პროფილი | დადასტურებული პროფილი | ჯამი | წაშლილი | ვერ ნაპოვნი | ჯამი | ჯამი |
| შემოწმებული | ქალი | 35 | 8 | 3 | **46** | 1 | | 1 | **47** |
| | კაცი | 152 | 20 | 20 | **192** | 4 | | 4 | **196** |
| **ჯამი** | | **187** | **28** | **23** | **238** | **5**[18] | **0** | **5** | **243** |
| შეუმოწმებელი | ქალი | 0 | 0 | 0 | **60** | | 60 | 60 | **60** |
| | კაცი | 0 | 0 | 0 | **188** | | 188 | 188 | **188** |
| **ჯამი** | | **0** | **0** | **0** | **248** | **0** | **248** | **248** | **248** |
| **სრული ჯამი** | | **187** | **28** | **23** | **486** | **5** | **248** | **253** | **491** |

კვლევამ შეისწავლა[19] 366,897 კომენტარი 2020 წლის 31 აგვისტოდან-21 ნოემბრის[20] შუალედში 243 კანდიდატის მიერ გამოქვეყნებულ 13,032 პოსტზე. შესწავლილი კომენტარების უმრავლესობა კაცი კანდიდატების გვერდებზეა განთავსებული, რაც გამოწვეულია კანდიდატებს შორის კაცების სიჭარბით (79%) და გარკვეული კანდიდატების მიერ გამორჩეულად დიდი რაოდენობის კონტენტის გაზიარებით (იხილეთ ქვემოთ).

*ცხრილი 2: პოსტებისა და კომენტარების მოცულობა დადასტურებულ გვერდებზე/პროფილებზე სქესის მიხედვით*

| კანდიდატის სქესი | შემოწმებული | შესწავლილი პოსტები | შესწავლილი კომენტარები |
|---|---|---|---|
| **ქალი** | 84 | 3,317 | 89,429 |
| **კაცი** | 371 | 9,715 | 277,468 |
| **ჯამი** | **455** | **13,032** | **366,897** |

[18] მონიტორინგის პერიოდში წაიშალა ხუთი პროფილი. თუმცა, მონაცემთა გარკვეული რაოდენობა მაინც შესულია საბოლოო მონაცემთა ბაზაში.

[19] მეთოდოლოგიის დანართში იხილეთ *CrowdTangle და იმპუტაციის აღწერა*

[20] 6 ნოემბრის შემდეგ მონაცემები მანუალურად შეგროვდა. ამ მეთოდით მოხდა მხოლოდ ძალადობის შემცველი კომენტარების აღრიცხვა.

პარტიებსა და კანდიდატებს შორის Facebook აქტივობის დონე არსებითად განსხვავებულია და შესაძლოა პარტიის გვერდზე არსებულ ტენდენციას არ იმეორებდეს. მაშინ, როცა მმართველი პარტიის („ქართული ოცნება“) კანდიდატებმა მონიტორინგის პერიოდში დიდი რაოდენობით Facebook პოსტი გამოაქვეყნეს და შესაბამისი რაოდენობის კომენტარი მიიღეს, კვლევამ გამოავლინა, რომ, მომცრო პარტიებთან შედარებით, მმართველი პარტიის წარმომადგენელი მაჟორიტარი კანდიდატების გვერდებზე ჩართულობა დაბალი იყო. მიუხედავად პატარა პარტიების ნაკლები რესურსებისა, „ქართულ ოცნებასთან“ შედარებით, მათ გვერდზე, კვლევის პერიოდში, მეტი აქტივობა დაფიქსირდა. ხაზგასასმელია, რომ გიორგი ვაშაძემ „სტრატეგია აღმაშენებლიდან“, ინდივიდუალურად მიიღო იმაზე მეტი კომენტარი, ვიდრე ბევრმა სხვა პარტიამ ერთად.

*ცხრილი 3: შესწავლილი გვერდებიდან/პროფილებიდან Facebook პოსტებისა და კომენტარების მოცულობა პარტიების მიხედვით*

| პარტია | შესწავლილი კანდიდატები | პოსტები | კომენტარები |
|---|---|---|---|
| ერთიანი ნაციონალური მოძრაობა | 25 | 1,912 | 125,066 |
| სტრატეგია აღმაშენებელი | 2 | 363 | 73,329 |
| ქართული ოცნება | 30 | 2,370 | 52,666 |
| ევროპული საქართველო | 19 | 2,239 | 29,244 |
| ლელო | 28 | 3,055 | 21,356 |
| საქართველოს ლეიბორისტული პარტია | 8 | 187 | 13,484 |
| დამოუკიდებელი კანდიდატი | 7 | 308 | 11,656 |
| მწვანეთა პარტია | 6 | 36 | 7,284 |
| გირჩი | 4 | 359 | 5,762 |
| სხვა | 114 | 2,203 | 27,050 |
| | **243** | **13,032** | **366,897** |

მონიტორინგმა მოიცვა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მონაწილე 41 პარტიის სულ მცირე ერთი წევრი მაინც. ხუთი პარტიის კანდიდატის მონიტორინგი ვერ მოხერხდა, რადგან მათი კანდიდატების Facebook გვერდი/საჯარო პროფილი ვერ მოიძებნა, ან აქტივობა არ შეინიშნებოდა მონიტორინგის პერიოდის განმავლობაში. აღნიშნული ხუთი პარტიაა: „თავისუფალი დემოკრატები“, „სახალხო პარტია“, „ევრო-ატლანტიკური ვექტორი“, „მშრომელთა სოციალისტური პარტია“ და „ტრადიციონალისტები“.

## ანგარიშის სტრუქტურა

ანგარიში გრძელდება კვლევის შედეგების გაცნობით, მათ შორის, ქალი და კაცი კანდიდატების მიმართ გავრცელებული ძალადობრივი ნარატივის თვისებრივი ანალიზით, რომელსაც მოსდევს ონლაინ ძალადობის მოცულობისა და წყაროების რაოდენობრივი ანალიზი. ამას შემდეგ შეჯამებულია ქალი კანდიდატების მიერ მოწოდებული წაშლილი კომენტარები და პირადი შეტყობინებები, რასაც მოჰყვება შესაბამისი ორგანოებისადმი მიმართული რეკომენდაციები.

# მიგნებები

## ონლაინ ძალადობის ხასიათი

კვლევა ძირითადად ორიენტირებული იყო ონლაინ სივრცეში ფსიქოლოგიურ ძალადობაზე და შეისწავლიდა მაჟორიტარი კანდიდატების მიერ მიღებული ონლაინ ძალადობის ხილვადი ნაწილის ხასიათს. ამ ტიპის ფსიქოლოგიური ძალადობა მიზნად ისახავს ქალების, როგორც პოლიტიკური აქტორების, განეიტრალებას, მათი სანდოობისა და კომპეტენციის ეჭვქვეშ დაყენება და პოლიტიკურ და საჯარო სივრცეში მათი ხილვადობის შემცირებას. ეს ნეგატიურად მოქმედებს იმაზე, თუ როგორ არიან ქალები წარმოჩენილი და ასევე, როგორ აღიქმებიან ისინი საზოგადოების მიერ.[21]

მოკვლეული ონლაინ ძალადობის თითოეული კატეგორიის (მეთოდოლოგიის მოკლე ვერსია იხილეთ წინა თავებში, ხოლო დეტალური მეთოდოლოგია პირველ დანართში) მოცულობა შედარდა ჯამურად ძალადობის შემცველ ყველა კომენტარს. მონაცემთა ბაზაში გენდერული დისბალანსიდან გამომდინარე, ქვემოთ წარმოდგენილი გრაფიკებისთვის მონაცემები დათვლილია ქალებისა და კაცებისთვის დამოუკიდებლად.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი კომენტარი სხვადასხვა სახის თავდასხმას შეიცავდა, ძალადობის შემცველ კომენტარებში ზიზღი და აგრესია ხშირად ღიად ან დაფარულად იყო წარმოდგენილი. ონლაინ ძალადობა ყველაზე ხშირად მიმართული იყო კანდიდატების სანდოობისა და საიმედოობის, ასევე კანდიდატების კომპეტენციისა და პროფესიონალიზმისკენ, კანდიდატის სქესის მიუხედავად. ორივე კანდიდატისთვის მესამე ყველაზე დიდი კატეგორიაა სიძულვილის შემცველი, მიზოგინიური და ზოგადი შეურაცხყოფის შემცველი კომენტარები (იხ. გრაფიკი 1).[22] სხვა ტიპის ონლაინ ძალადობა შედარებით მცირე

[21] Violence against women in political parties: analysis of the situation in Tunisia, NDI, 2019

[22] კოდირებისას, მიზოგინიური კომენტარები, კომენტარები რომლებიც ზიზღსა და ზოგად თავდასხმას შეიცავდა, კოდირებული იყო, როგორც „მიზოგინია, ზოგადი თავდასხმა“ შემდეგი ორი მიზეზის გამო: 1) მონიტორინგის კატეგორიები ერთი და იგივე იყო ქალებისა და კაცებისთვის; 2)

რაოდენობით დაფიქსირდა თითოეული სქესის კანდიდატთან მიმართებაში. თუმცა, ქალთა და კაცთა მიმართ გამოხატული ონლაინ ძალადობის ხასიათი გარკვეულწილად განსხვავდებოდა. ქალების მიმართ უფრო ხშირი იყო პარტიასთან დაკავშირებული შეურაცხყოფა, კომენტარები, რომლებიც მათ ობიექტივიზაციას ახდენდა, მათ ინტელექტსა და გარეგნობას ეხებოდა ისევე, როგორც მათ ოჯახსა და პირად ცხოვრებას. მნიშვნელოვანია, რომ სტერეოტიპულ გენდერულ როლებთან დაკავშირებული თავდასხმები 11%/1% სხვაობის შეფარდებითაა გადანაწილებული ქალებსა და კაცებს შორის. კომენტარები, რომლებიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდნენ კანდიდატების სანდოობასა და საიმედოობას, ძირითადად კაც კანდიდატებს მიემართებოდათ.

*გრაფიკი 1: ონლაინ ძალადობის თითოეული ტიპის წილი მაჟორიტარი კანდიდატების სქესის მიხედვით*




* „მიზოგინია და ზოგადი შეურაცხყოფის“ კატეგორია აერთიანებს ყველა იმ კომენტარს, რომელიც გამოხატავდა ზიზღს და შეიცავდა კანდიდატების მიმართ ზოგად შეურაცხყოფას. ქალ კანდიდატთა შემთხვევაში, ვინაიდან მხოლოდ კომენტარების მყისიერი შესწავლა ხდებოდა, ძნელი იყო იმის დადგენა, თუ რა იწვევდა ქალის მიმართ ძალადობრივი და ზიზღის შემცველი კომენტარის დაწერას: ეს კანდიდატის სქესის თუ სხვა მიზეზის გამო ხდებოდა.

ვინაიდან, კვლევა შეისწავლიდა პოსტების ქვეშ განთავსებულ კომენტარებს, კომენტარების ავტორების შესწავლის გარეშე, ძნელი იყო იმის გარჩევა, რა იწვევდა ქალის მიმართ ძალადობრივი და ზიზღის შემცველი კომენტარის დაწერას: მიზეზი კანდიდატის სქესი იყო თუ სხვა მიზეზი.

შემდეგ თავებში წარმოდგენილია ონლაინ ძალადობის ტიპებზე თვისებრივი დაკვირვების შედეგები და კვლევის მიერ გამოვლენილი განსხვავებები მაჟორიტარობის ქალი და კაცი კანდიდატების პოსტებზე დაწერილ კომენტარებში. კანდიდატების მიმართ პატივისცემის გამო, ასევე ძალადობის კიდევ უფრო მეტი გავრცელების თავიდან ასაცილებლად, შეურაცხმყოფელი კომენტარები კანდიდატების იდენტიფიცირების გარეშეა წარმოდგენილი.

## ნდობასა და პროფესიონალიზმთან დაკავშირებული ონლაინ ძალადობა

აღმოჩნდა, რომ მაჟორიტარობის როგორც ქალი, ასევე კაცი კანდიდატები იყვნენ თავდასხმის ობიექტი მათ სანდოობასა და საიმედოობასთან დაკავშირებით. მსგავსი თავდასხმები ხშირად კანდიდატებს სხვადასხვა იარლიყს აკერებდა, მაგალითად: „სოროსელი“[23], „სოროსის ბოზ*ბი“, კაგებეს აგენტები, პრო-რუსები, გამყიდველები, დემაგოგები, უმადურები, პუტჩისტები[24], პოპულისტები და არასანდოები. კომენტარის ავტორები კანდიდატებს ხშირად ადანაშაულებდნენ მათი არასტაბილური პოლიტიკური პრეფერენციების გამო. ნოემბერში, არჩევნების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, შეურაცხმყოფელი კომენტარები, რომლებიც საიმედოობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა, ძირითადად ქალ კანდიდატებს მიემართებოდა და მათ „ხელმოცარულებად“ წარმოაჩენდა, „შენ ხმას ვინ მოგცემს“ სტილის ფრაზებით. აგრეთვე, რადგან ნოემბერში ოპოზიციური ძალები გაერთიანდნენ, კომენტარის ბევრი ავტორი კანდიდატს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გაერთიანების ნაწილად აღიქვამდა, ხოლო ენმ-ს წევრების სანდოობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა და ამბობდა, რომ მათ ადამიანები არ ადარდებთ, ცდილობენ ერთად შეკრიბონ და კორონა ვირუსის გადადების რისკის ქვეშ დააყენონ.

ჯორჯ სოროსთან დაკავშირებული თავდასხმები ძირითადად დასავლური განათლების მქონე კანდიდატებს მიემართებოდა, ან მათ, ვინც რამენაირად „ფონდ

[23] მიუხედავად იმისა, რომ ეს სიტყვა ჩვეულებრივ შემთხვევაში შეიძლება, ჯორჯ სოროსის მიმდევარს ნიშნავდეს, კომენტარებში ეს უარყოფითი კონოტაციით გამოიყენებოდა და ჯორჯ სოროსის გეგმების მსახურებას გულისხმობდა.

[24] პუტჩისტი არის ხალხის იმ მცირე ჯგუფის წევრი, რომელიც არასამართლებრივი გზებით ცდილობს მთავრობის დამხობას. აღნიშნული ტერმინი კომენტარებში უკიდურესად უარყოფითი კონოტაციით გამოიყენებოდა და ხაზს უსვამდა მთავრობის ცვლილებისათვის ძალადობრივი, გაუმართლებელი მეთოდების გამოყენებას.

ღია საზოგადოება საქართველოსთან“ ასოცირდებოდა. ერთი კომენტარი ასეთ პოლიტიკოსებს საჯარო ცხოვრების მიტოვებისკენ მოუწოდებდა, რადგან ისინი „სატანური ჯგუფი, სოროსის გველები“ იყვნენ. ამის საპირისპიროდ, ის პოლიტიკოსები, რომლებიც ცხოვრობდნენ ან განათლება მიიღეს რუსეთში, შერაცხულები იყვნენ კაგებეს აგენტებად ან პრო-რუსულებად. მათ შორის იყო ასეთი კომენტარებიც: „თქვენ კგბ ხელფასი რამდენი გერიცხებათ?” ან „გირჩევნია მოკეტო და ჩაკვდე რა მეხუთე კოლონას აგენტი. გუშინ რუსეთს ინფორმაციას აწვდიდა, დღეს პატრიოტობას გვიმტკიცებს, გამყიდველი ვირთხა ხარ“.

ბრალდებები, რომლებიც მოღალატეობას ან პუტჩისტობას ეხება, ხშირად კანდიდატების ოჯახთან იყო კავშირში. მაგალითად, ერთ-ერთ კანდიდატს მიმართეს შემდეგნაირად: „რაც პუტჩისტი და მოღალატე და ნაძირალა მამა ჰყავდა ის არის [შვილიც]“. კანდიდატებმა, რომლებმაც შეიცვალეს პარტიული აფილიაცია, ბევრი თავდასხმა სწორედ ამ ნიშნით მიიღეს; მათ ადანაშაულებდნენ გამცემლობასა და არასაიმედოობაში. ერთი ასეთი კანდიდატი შემდეგნაირად აღწერეს: „შენზეა ნათქვამი, ყველა პრობკას ერგებაო“.

არჩევნების შემდგომ პერიოდში, ონლაინ ძალადობის ორი ძირითადი ხაზი შეინიშნებოდა ქალი კანდიდატების სანდოობა/საიმედოობის მიმართულებით: (1) ქალი კანდიდატების ხელმოცარულებად წარმოჩენა, რომელთაც ხალხი ხმას არ მისცემს („არც ნდობა გაქვთ და არც ხმები, სოროსის ნაბუშრებს ვინ მოგცემთ ხმას“) და (2) კანდიდატების დადანაშაულების მიმართულებით, რომ ისინი ხალხზე არ ზრუნავენ, აწყობენ აქციებს და ხელს უწყობენ კორონა ვირუსის გავრცელებას („როგორი უპასუხისმგებლო უნდა იყო ადამიანი, დღეში 2000-ზე მეტი ინფიცირებულია და აქციაზე იწვევთ ხალხს?“; „თქვენ ხალხზე არ ზრუნავთ“; „ბიძინაზე ნაკლები მშიშრები არც თქვენ ხართ!!! ხალხის გვერდით რატომ არ დგახარ?“). მსგავსი მიმართულებებია კაცების შემთხვევაში და აგრეთვე ეჭვქვეშ აყენებენ მათ უნარს, ააშენონ/ააყვავონ ქვეყანა („[კაცი კანდიდატის] აშენებული ქვეყანა არ გაიშვა“; „[კაცი კანდიდატის] შეცვლილი საქართველოს დედაც!“; „ვინც არ უნდა მოვიდეს ჩვენ მთავრობაში, ხალხისთვის მაინც არავინ იქნება, ხალხოო, ჩვენი პატრონი არავინ იქნება“, „ხალხისთვის არავინაა“.)

## მიზოგინია და ზოგადი შეურაცხყოფა

ქალი და კაცი მაჟორიტარი კანდიდატების პოსტებზე კომენტარები ხშირად იყო შეურაცხმყოფელი და სიძულვილით სავსე. ქალების შემთხვევაში ხშირად გვხვდებოდა მიზოგინიური ენა, რადგან კომენტარები გაკიცხვის ფორმით იყო წარმოდგენილი. მაშინ, როცა ორივე სქესი დამამცირებელ და შეურაცხმყოფელ კომენტარებს იღებდა, განსხვავება შეინიშნებოდა სიძულვილის გამოხატვასა და ფორმულირებაში. ქალებმა საყურადღებო დოზით მიიღეს სექსუალურ ცხოვრებასთან დაკავშირებული ან „ბოზობით შერცხვენის“ ტიპის ონლაინ ძალადობა. ბევრი კომენტარი პირდაპირ ან ირიბად შეიცავდა სექსუალურ თემატიკას და ქალები ხშირად იყვნენ სექსუალური ნიშნით დაკავშირებული კაც ლიდერებთან. კომენტარებში გავრცელებული იყო ჯოჯოხეთთან, სატანასთან და ჯადოქრებთან დაკავშირებული ტერმინოლოგიაც. ქალებმა ასევე დიდი რაოდენობით ზოგადი შეურაცხყოფის შემცველი კომენტარიც მიიღეს, სადაც მათ უწოდებდნენ „ნაგავს“, უწერდნენ ღებინების ან ფეკალიის გამომხატველ ემოჯიებს, ან პირდაპირ გამოხატავდნენ მათდამი სიძულვილს (მაგალითად, „მეზიზღები“).

დიდი რაოდენობით გაკიცხვის ადრესატები იყვნენ კაცი კანდიდატებიც. მათზე თავდასხმა იყო როგორც სექსუალური ხასიათის (მიუთითებდნენ სექსუალური ტიპის ორგანოებზე ან ქმედებებზე), ასევე უშუალოდ სექსუალური ცხოვრებისკენ მიმართული. კაცი კანდიდატების მიმართ გაკიცხვა იყო როგორც უხეში, ვულგარული, ასევე გესლიანი და ღვარძლიანი. ქალი კანდიდატები თავად იყვნენ მოქცეული სექსუალიზებული ონლაინ ძალადობის ცენტრში, კაცი კანდიდატების შემთხვევაში კი ხშირად მათი დედები, ცოლები, „ჯიში“, და სხვა ქალი ახლობლები იყვნენ მსგავსი აგრესიის ადრესატები. ჰომოფობიური ხასიათის შედარებები, როგორც წესი, სიძულვილისა და დამცირების გამოსახატად გამოიყენებოდა, ხანდახან შეიცავდა შეფარულ მუქარასაც.

## ქალი კანდიდატების მიმართ გამოხატული სიძულვილი

ქალი კანდიდატები ხშირად იყვნენ შერაცხული „ბოზებად“, „ძუკნებად“, ან მსუბუქი ყოფაქცევის ადამიანებად. ამ ტიპის თავდასხმები ხშირად ცნობილ ქართველ პოლიტიკოს კაცებს უკავშირდებოდა (მაგალითად „მიხუილოს[25] ჰარემის ერთ-ერთ ხარჭას 0 შანსი აქვს [კაცი კანდიდატი] წინააღმდეგ!“). ქალები, რომლებსაც ერთზე მეტი პარტნიორი ჰყავდათ, იღებდნენ შეურაცხმყოფელ კომენტარებს პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით. ასეთი კომენტარების ავტორები მათ სექს-მუშაკებად ან სხვაგვარად სექსუალურად ამორალურად წარმოაჩენდნენ, მაგალითად „შენი ყ**დან ყ*ეზე მხტომიარე ბო*ი სული მოვტ*ან, ბო*ი ხარ, [კანდიდატის ყოფილი ქმრის] ხ*სა ხარ, იმანაც დაგაგდო, იდი ნა *უი“). კაცებს იშვიათად ან არასდროს მიუღიათ კომენტარი მოუწესრიგებელი სექსუალური კავშირის გამო.

კომენტარის ავტორები ხშირად იყენებდნენ რელიგიურ ან ოკულტურ ტერმინებს, როგორიცაა: „ჯადოქარი“, „სატანა“, „სატანის მოციქული“, ან „ეშმაკის ნაშიერი“. ერთმა კანდიდატის სახელი შემდეგნაირად გადააკეთა: „...ჯოჯოხეთის შესასვლელი“. ონლაინ ძალადობა ხშირად უფრო ზოგად სახეს იღებდა, აღწერდა ქალ კანდიდატებს, როგორც „ნაგავს“, და იყენებდა ლექსიკას, რომელიც ამცირებდა კანდიდატს. ერთ კომენტარში ქალ კანდიდატს მიმართეს: „ხოხვისთვის გაჩენილი ვერასდროს იფრენს“.

არჩევნების შემდგომ ონლაინ ძალადობა ქალი კანდიდატების წინააღმდეგ არ შემცირებულა. პირიქით, ზოგი ქალი კანდიდატი ონლაინ ძალადობის განსაკუთრებული სამიზნე გახდა ნოემბრის განმავლობაში. სიძულვილი გამოიხატებოდა გინებითა და „ტყ“ სიტყვებით, „შენი დედა მოვ**ან“ და „დედა მოგე***ნება“ მიმართულებით.

## კაცი კანდიდატების მიმართ გამოხატული სიძულვილი

კაცები ძირითადად იღებენ გინების შემცველ თავდასხმებს. ყველაზე გავრცელებული იყო დედაზე მიმართვა, თუმცა, კონტექსტიდან გამომდინარე გინება ხშირად ცოლებს, ოჯახებს და კანდიდატების სისხლით ნათესავებსაც კი მიემართებოდა. კაცების მიმართ სიძულვილის გამოხატვა ხშირად ჰომოფობიური

[25] საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, დღემდე ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტიის ლიდერი, მიხეილ სააკაშვილი

ლექსიკის გამოყენებით ხდებოდა, როგორიცაა „პედერასტი“. კაცები ასევე ხშირად იყვნენ დამამცირებელი ონლაინ ძალადობის სამიზნეები. მაგალითად, ერთ კაც კანდიდატს უთხრეს შემდეგი: „ნახმარი პრეზერვატივის ფასიც აღარ გაქვს“ და „[ცოლის] ნიფხავი გახურავს შე სი*ო“. რამდენიმე კაც კანდიდატს მიაყენეს შეურაცხყოფა მათი კლოუნებთან გაიგივების გზით („ცხვირზე პატარა ბურთი უნდა და ზედ გამოჭრილი კლოუნია ეს კაზიოლი“). ასევე რამდენიმე კომენტარი ფაშიზმს იშველიებდა თავდასხმის გამოსახატად („ეგი გებელსია, გერინგი, ჰიმლერი, თუ სამივე ერთად?“), ზოგი კი საბჭოთა კავშირის პერიოდს („ლენინისავით კი ხარ, ქუდი გაკლია.“).

ონლაინ ძალადობის ხშირი თემა როგორც ქალებისთვის, ასევე კაცებისთვის მათი ცხოველებთან შედარება იყო. ქალებს, უფრო ხშირად ადარებდნენ „ძროხას“ (უფრო იშვიათად კამეჩს), ამით მიანიშნებდნენ მათ გარეგნობაზე ან წონაზე. ქალებს ასევე ხშირად უწოდებდნენ „ქათამს“, მათი ინტელექტის დაკნინების მიზნით. კაცების წინააღმდეგ კომენტარის ავტორები მათ ცხენებს ან ვირებს ადარებდნენ, ხშირად ამ უკანასკნელთან სექსუალურ კავშირზეც მიუთითებდნენ. ზოგ კაც კანდიდატს ეძახდნენ ღორს მათი წონისა და ფუფუნებაში ცხოვრების გამო. ქალებსაც და კაცებსაც ადარებდნენ ვირთხას, ხშირად იმისთვის, რომ მათი ამორალურობა და უპრინციპობა წარმოეჩინათ. აგრეთვე, კაცებსა და ქალებს ბევრჯერ უწოდეს „თხა“, ხშირად მათი გარეგნობის გამო. იშვიათ შემთხვევაში, კაცი კანდიდატების დასამცირებლად და მათთვის შეურაცხყოფის მისაყენებლად ტურასა და ბაყაყთან შედარებაც გამოიყენებოდა.

## მუქარა

კანდიდატებზე პირდაპირ ფიზიკური თავდასხმის მუქარა შედარებით იშვიათი იყო, თუმცა, მიემართებოდა როგორც ქალ, ასევე კაც კანდიდატებს. მუქარები არ იყო გენდერული ნიშნით გამორჩეული და, როგორც წესი, გამოიხატებოდა კანდიდატების და მათი პარტიის/გუნდის წევრების „მასობრივი დახვრეტის“ სურვილში. რამდენიმე კაცი კანდიდატის მიმართ გაჟღერდა დაპატიმრების სურვილი/მუქარა. რამდენიმე მუქარა ახსენებდა იოსებ სტალინს (ქართველ საბჭოთა ლიდერს), მაგალითად, „მომეცით ის ძალაუფლება, რომელიც სტალინს ჰქონდა. არაკაცი ვიყო, 24 საათში ამათ ყველას სათითაოდ ცაზე ჩამოკიდებულს ნახავთ. „სტალინი მკვლელია“ იძახიან, ააა ამისთანა ნაბოზ**ებს დედას უტ**ავდა“.

ერთ ქალ კანდიდატს უთხრეს, რომ ბენზინით უნდა დაიწვას, ერთი კაცი კანდიდატის მიმართ კი გამორჩეული ძალადობრივი კომენტარი იყო: „ისე არ მევასება ტიპი, სადმე რო შემხვდეს, ვერ მოვითმენ და ჩავპიზდავვვ, სუ რო დამიჭირონ მაგისთვის.“

## გენდერული როლები

ქალების მიმართ ონლაინ ძალადობა ძირითადად დაფუძნებული იყო საზოგადოებაში დამკვიდრებულ სტერეოტიპულ დამოკიდებულებებზე გენდერული როლების შესახებ. ქალი კანდიდატების მიმართ Facebook-ზე გამოხატული ონლაინ ძალადობის ერთ მეათედზე მეტი (11%) გამოხატავდა კომენტარის ავტორის მიერ საზოგადოებაში ქალის როლის აღქმას (კაცების შემთხვევაში მხოლოდ 1%). ასეთი კომენტარები, როგორც წესი, მიუთითებდა კომენტარის ავტორის შეხედულებაზე, რომ ქალი უნდა იყოს სახლში, ოჯახში, სამზარეულოში და დაკავებული იყოს სახლის საქმეებით და არა სახლს გარეთ აქტივობებით.

მაგალითად, ზოგიერთ ქალ კანდიდატს უთხრეს: „სახლი არ გექნება დალაგებული, რისი ქვეყნის დამლაგებელი ხარ?“; „ლამაზი ქალბატონი ბრძანდებით, მაგრამ წადით კუხნაში!“; „შედი, ქალო, კუხნაში. იქნება იქ მაინც ივარგო, ხომ ხედავ, მაგ საქმის არაფერი გაგეგება!“; „წადი რა, ნუ გაატ*აკე საქმე, ქმარი არ გყავს, შვილები არ გყავს? რა ძუკნასავით სულ ქუჩაში გდიხარ“, „ეს [ქალი კანდიდატები] ქართველი ქალის სირცხვილია“.

აღნიშნულ თემაზე კომენტარები ერთგვარად მიანიშნებდა კანდიდატებს, რომ მათ პოლიტიკა უნდა დაეტოვებინათ და თავი საოჯახო საქმიანობისთვის მიეძღვნათ. კომენტარების გარკვეული ნაწილი ქალ კანდიდატებს პოლიტიკიდან წასვლისკენ მოუწოდებდა, რადგან პოლიტიკაში ყოფნისთვის „საკმარისად ძლიერები“ არ იყვნენ („დაისვენე ბიძიკო! რატომ ხარ ამ ლომების ჭიდილში. იქნება წვრილფეხა ხალხის ჭიდილი და იქ მოსინჯე ძალა“). პოლიტიკიდან წასვლის შესახებ მოწოდება კაცმა კანდიდატებმაც მიიღეს, თუმცა, ამ შემთხვევაში მოწოდებას უფრო ზოგადი სახე ჰქონდა (მაგალითად, „წადი, დაიკარგე!“, „ჯანდაბაში წასულხარ“, „დაგვანებე თავი“). არც ერთ კაცს არ მიუღია მოწოდება, მეტი დრო გაეტარებინა სამზარეულოში ან მიეხედა შვილებისთვის, თუმცა, ზოგი კომენტარი მათ სხვა საქმის პოვნას ურჩევდა, როგორიცაა სოფლის მეურნეობა ან თევზაობა („მიხედე

შენს ბეღელს, დაანებე პოლიტიკას თავი“, „დარჩენილიყავი [ქალაქის სახელი], ანკესი გეყიდა და გეთევზავა. პარლამენტში შენი ადგილი მაინც აღარ არის“).

გენდერულ როლებთან დაკავშირებული კომენტარები ხშირად თავად კანდიდატს არ მიემართებოდა, თუმცა, გვთავაზობდა ქალისა და კაცის როლებთან დაკავშირებულ ცალსახა განსხვავებებს, როგორიცაა - პოლიტიკაში ქალების ადგილი არ არის! მაგალითად: „კაცი უნდა იყოს კაცი, ქალი უნდა იყოს ქალი!“ ან ფსევდო კომპლიმენტი: „უბრალოდ გასაკვირია, როგორ მოხვდა ასეთი სათნო სახის ქალბატონი ამ გაუგებრობაში?!“

ქალების წინააღმდეგ მიმართული ონლაინ ძალადობა სავსე იყო საუბართან დაკავშირებული სექსისტური სტერეოტიპებით. კომენტარების ავტორები მიუთითებდნენ უაზრო და უმიზეზო ლაყბობაზე („ტლიკინა გოგო“, „ეს ქალი რას ტლიკინებს“). ასეთი კომენტარის ავტორები ცდილობდნენ კანდიდატის სიტყვები უშინაარსოდ, ხოლო მათი ხმა გამაღიზიანებლად წარმოეჩინათ, რითიც ძირს უთხრიდნენ მათ სანდოობას. ისინი ხშირად პარალელს ავლებდნენ ცხოველთან, ძირითადად ქათმებსა და წიწილებთან, მათ კიდევ უფრო მეტად დასამცირებლად კი - ხანდახან ნახევარქათამასთან. ქათმებთან შედარებისას კომენტარები დამცინავი ხასიათის იყო. ქალი კანდიდატებს ასევე უბრალოდ ეუბნებოდნენ „მოკეტე!“

ზოგი კომენტარი ქალი კანდიდატების მიმართ უპატივცემულობას გამოხატავდა, თუ ავტორები მათ „არაქალურად“ მიიჩნევდნენ („როგორ არ მინდა ხმის გაგონებაც. მამაკაცური ხმა და მეტყველება, არც მოგისმენ“, „ვითომ ქალი“, „ქალი კი არა, ქაჯია“). „მამაკაცურობის“ გამომხატველი ნიშნები გარკვეულ შემთხვევებში ქალი კანდიდატის საქებადაც გამოიყენებოდა, მაგალითად, „მას შეუძლია ის, რაც ბევრ ამჟამინდელ დეპუტატს არ შეუძლია. მამალი გოგოა“. ამის საწინააღმდეგოდ, კაც კანდიდატებზე თავდასხმისას მათ ქალებს ადარებდნენ, მაგალითად, „რავა ჭორიკანა ქალივით დაიარები კამერებით“, „რა გინდა, დაალაგე, აცა-ბაცა ქალივით ნუ ლაპარაკობ“. ასევე, კაც კანდიდატებს თავს ესხმოდნენ მათი მამაკაცურობის დაკნინების საშუალებით. მაგალითად, უწოდებდნენ შემდეგს: „კაცის პროვოკაცია“, „კაცუნა“ („...კაცი რომ თავის გადაფურთხებულს ალოკავს....? სამწუხაროდ ძაან მომრავლდნენ ასეთი ,,კაცები““).

## ჭკუასთან და ინტელექტთან დაკავშირებული ონლაინ თავდასხმები

ქალების ინტელექტუალური და გონებრივი შესაძლებლობები ბევრ კომენტარში კითხვის ნიშნის ქვეშ იყო დაყენებული. ერთმა თქვა: „ფუღურო თავი გაქვს, ცარიელი, უტვინო“, სხვამ კი „ქალბატონო [სახელი], ამეებს თქვენით იფიქრებთ თუ გეხმარებათ ვინმე?“. ასევე, ბევრი იყო მოკლე და მარტივი ტიპის კომენტარი, რომელიც კანდიდატის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს შეურაცხყოფდა; მაგალითად: „გონებით დაჩაგრული“, „ჩლუნგი“, „უკულტურო“.

ჭკუასთან დაკავშირებული ონლაინ თავდასხმა კაცი კანდიდატებისკენაც იყო მიმართული. მაგალითად, იყო შემდეგი სახის კომენტარები: „ამას თავი გენიოსი გონია და სინამდვილეში ფანტაზიებშია, ქვეყანას დაღუპავს“, „თავში თუ გიყრია რამე, ნეტავ“. გამოყენებული ლექსიკის თვალსაზრისით, ქალებისა და კაცების წინააღმდეგ ჭკუასთან დაკავშირებულ თავდასხმებში თანაკვეთაა; მაგალითად: „ასეთ ჩლუნგებს სად პოულობთ?!“, „ჩლუნგი“. ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე თავდამსხმელი კომენტარები ხანდახან პოლიტიკიდან წასვლის მოწოდებასაც შეიცავდა („წადი ბიძიკო სახლში, რა ბიუჯეტზე ლაპარაკობ - გამრავლების ტაბულა არ იცი“).

## გარეგნობასა და ასაკთან დაკავშირებული ონლაინ თავდასხმები

გარეგნობასთან დაკავშირებული ონლაინ ძალადობა Facebook-ზე შეგროვებული შეურაცხმყოფელი კომენტარების 4%-ს შეადგენს ქალებისთვის, ხოლო 2%-ს კაცებისთვის. მსგავსი თავდასხმები ხშირად პოსტის თემატიკისგან (საარჩევნო კამპანიის აქტივობები, მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებული პოზიციები, ახალი ისტორიები და ა.შ.) ყურადღების გადატანას ისახავდა მიზნად და ქალი კანდიდატების სერიოზულ პოლიტიკურ ფიგურად აღქმასაც უშლიდა ხელს.

ქალი კანდიდატების გარეგნობასთან დაკავშირებული დემაგოგიური კომენტარები დაკავშირებული იყო მათ წონასთან („რაფერაა დასუქებული“, „გაძლიერებულ კვებაზე ხარ?“), სიმაღლესთან („ეს ლილიპუტი კიდევ კენჭს იყრის?“), თმასთან („თმები ძლივს დაუვარცხნია“), მაკიაჟთან („არ გიხდებათ ტუში“), ჩაცმულობასთან („კაცის მაიკა აცვია“, „შენ უგემოვნო ხარ, მარა ერთი ნორმალური არ გყავს გარშემო, გირჩიოს რა ჩაიცვა? პირველკლასელივით რო ჩაგიცვია, სკოლაში მიდიხარ?“) და სტილთან („კაცქალა“). ამის საპირისპიროდ,

სხვა კომენტარები, რომლებიც თითქოს პოზიტიური კონტექსტის მატარებელი იყო, თუმცა, ქალი კანდიდატების გარეგნობაზე მითითებით მათ, როგორც პოლიტიკოსს აკნინებდა; მაგალითად: „ისეთი ლამაზი ხარ, აზრს ვერ ვატან, რას ლაპარაკობ“, „მაგარი ქალია დაუჯერებელი სილამაზით“, „დაიმახსოვრე, შენი ლამაზი თვალებისთვის არავინ აგირჩევს“. თითქმის არ იყო მსგავსი კონტექსტის კომენტარები კაც კანდიდატებთან მიმართებით.

მსგავსად ქალებისა, კაცი კანდიდატების გარეგნობასთან დაკავშირებული შეურაცხმყოფელი კომენტარებიც ხშირად გამოიყენებოდა დისკუსიის მთავარი თემიდან გადასატანად. კაცები იღებდნენ კომენტარებს წონასთან („როგორ გასუქებულხარ“, „რავა ღორს დამსგავსებია“, „ხაშლამით გაბერილი ლოყები“), თმა/წვერთან („ამან ულვაშები გაიპარსოს და [სხვა პოლიტიკოსის სახელი] თმა გაიკრიჭოს მერე შეიძლება ხალხმა ვერ იცნოს და მისცენ ხმა“, „კისერი გამოიპარსე ძმურად“), ჩაცმულობის სტილთან („რაღა მაგ ფერის მაისური შეარჩიეთ, ეგ მართლა არ არის მოსაწონი“, „შარვალ-კოსტუმი არ გიხდება“, „ეს კოსტუმი ხო დაღალა, სულ ეგ აცვია“, სიმელოტესთან („რამდენი ტყუილი თქვი, იმდენი თმის ღერი რომ ამოგივიდოდეს თავზე, კი გახდებოდი ქოჩორა ბიჭი“, „ტყვლიპე მელოტ თავში”) ან მოჭუტულ თვალებთან („შენი თვალჭუტია დედას შე***ი შე ნაბო**რო“) დაკავშირებით.

მხოლოდ რამდენიმე კომენტარი იყო, რომელიც აქცენტს კანდიდატების ასაკზე აკეთებდა. ამ ტიპის კომენტარების სამიზნე მხოლოდ პოლიტიკაში უკვე დიდი ხნის განმავლობაში მყოფი ქალები გახდნენ („რაღა დროს [კანდიდატის სახელი]. ამოვიდა ყელში. წადი სახლში, წადი! წავიდა შენი დრო. დაჯექი სახლში! დაბერდი, ახალგაზრდებს დაუთმე გზა, შენ მართლა გზააბნეულო“, „ვახ [კანდიდატის სახელი] ცოცხალი ყოფილა“). ქალებისგან განსხვავებით, კაცი კანდიდატები ასაკთან დაკავშირებული თავდასხმების მსხვერპლნი მათი ახალგაზრდობისა და გამოუცდელობის გამო აღმოჩდნენ („ეს ლაწირაკი ვის ამოწმებს თვითონაა შესამოწმებელი. არ ეტყობა ვინაა?”, „სკოლა თუ გაქვს საერთოდ დამთავრებული დირექტორებს რომ ხვდები? “)

## პარტიასთან/ობიექტიზაციასთან დაკავშირებული ონლაინ თავდასხმები

როგორც ქალმა, ასევე კაცმა კანდიდატებმა მიიღეს შეურაცხყოფები პარტიულ აფილიაციასთან დაკავშირებით - ონლაინ ძალადობის 7% ქალებს, 4% კი კაცებს მიემართებოდა. ყოფილი მმართველი პარტიის კანდიდატებმა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ (ენმ), და ახლახან ჩამოყალიბებულმა „ლელომ“ მიიღეს შედარებით დიდი რაოდენობის პარტიასთან დაკავშირებული თავდასხმა, ისევე, როგორც კანდიდატებმა, რომელთა პოლიტიკური კარიერაც ადრე ენმ-თან იყო დაკავშირებული.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატების მიმართ თავდასხმისას ხშირად იყენებდნენ სიტყვა „ნაცს“[26] და მის სხვადასხვა ვარიაციას, მაგალითად: „ნაცჯალათი“,„ნაცხროვა“, „ნაცბანდა“, „ნაცბონძღები“, „ნაცშარლატანები“. კომენტარის ავტორები ხშირად იხსენებდნენ იმ ინციდენტებს, რომლებიც ენმ-ს მმართველობის დროს მოხდა და მას ხანდახან „სისხლიან“ რეჟიმადაც მოიხსენიებდნენ. ამ ტიპის კომენტარები იშველიებდნენ პატიმრების შევიწროვებისა და სხვა სადავო ფაქტებს, რომლებიც ენმ-ს მმართველობისას ხდებოდა. ენმ-ს კანდიდატებს მიმართავდნენ, რომ ისინი „სავსე არიან ცოდვით მსგავსად იმ პარტიისა, რომლის გვერდითაც დგანან“. ზოგიერთი კომენტარის ავტორი უფრო სიმპათიით იყო განწყობილი და ამბობდა, რომ იმ კონკრეტულ კანდიდატს ხმას მისცემდა, ენმ-ს წარმომადგენელი რომ არ ყოფილიყო.

„ლელოს“ კანდიდატების შემთხვევაში, შეურაცხყოფები ძირითადად პარტიის ლიდერებს მიემართებოდა, როგორც ერთ-ერთი მთავარი ქართული ბანკის ხელმძღვანელ პირებს. კანდიდატებს აკრიტიკებდნენ „მევახშეების“ პარტიის წევრობისთვის, რომელმაც ბევრი ადამიანი სახლის გარეშე დატოვა. კომენტარის ზოგიერთი ავტორი აღნიშნავდა, რომ, ალბათ, კანდიდატებს თავადაც სესხი ჰქონდათ აღებული და მხოლოდ ფინანსური მიზეზებით წარმოადგენდნენ ამ პარტიას.

პარტიასთან დაკავშირებული თავდასხმები კანდიდატებს წარმოაჩენდა, როგორც მარიონეტებს, რომელთაც პარტიის ლიდერები თავის ჭკუაზე მართავდნენ.

[26] პირველი სამი ასო სიტყვა „ნაციონალურიდან“.

კომენტარების საკმაოდ დიდი რაოდენობა კანდიდატებს მოუწოდებდა, მადლიერება გამოეხატათ თავიანთი ყოფილი ლიდერების მიმართ ან მათ უმადურს უწოდებდა. „ეს ბიძინამ არ გამოჩეკა? რომ არა ის, ალბათ, ვერც გათხოვდებოდა. რას გავს ეს უბედური?!“ „შენ ვინ ხარ ეხლა, ვისი ხელის ქალბატონი ხარ? იმიტომაც მიიღე [ხმების] 0 პროცენტი.“ ბევრი კანდიდატი წარმოჩენილი იყო არა დამოუკიდებელ პოლიტიკურ ფიგურად, არამედ ადამიანად, რომელიც გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღებას ვერ ახერხებს.

## ოჯახთან/პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული ონლაინ თავდასხმები

შეურაცხმყოფელი კომენტარების შედარებით მცირე ნაწილი (3% ქალების და 1% კაცების მიმართ) კანდიდატებს მათი ოჯახისა და პირადი ცხოვრების კონტექსტით მიემართებოდა. როგორც ქალი, ასევე კაცი მაჟორიტარი კანდიდატები იღებდნენ ამ ტიპის ონლაინ თავდასხმებს, თუმცა, საბოლოო „ადრესატები“ ორივე შემთხვევაში მაინც ქალები იყვნენ - კანდიდატის ცოლი ან დედა, ან თავად ქალი კანდიდატები. ქალ კანდიდატებს ხანდახან აკრიტიკებდნენ „არეული პირადი ცხოვრების“ და არჩეული პარტნიორის გამო. ქალებს აყენებდნენ შეურაცხყოფას ყოფილი ქმრების გამო და ზოგჯერ აღნიშნავდნენ ფაქტს, რომ ისინი ქმარმა მიატოვა და სხვა ქალში გაცვალა („ქალურობის რო რამე გეტყობოდეს [ყოფილი ქმრის სახელი] კი არ მიგატოვებდა. რა გოგო ყავს ახლა ცოლად. ალბათ, მაგრა გშურს და იხევი შუაზე. ცოტა რო განაზდე, მესამეთ იქნებ გათხოვდე“). კომენტარის ერთი ავტორი ცდილობდა, ქალი კანდიდატი არასაიმედოდ წარმოეჩინა შემდეგნაირად: „შენ რისი დამლაგებელი ხარ, საკუთარი ცხოვრება ვერ დაგილაგებია?!“

კაც კანდიდატებს კომენტარის ავტორები ხშირად მიუთითებდნენ ცოლებზე, დედებზე, ოჯახზე და ხშირად უხამსი ფორმით მიმართავდნენ, როგორიცაა „მოგი***ნ ცოლი“, „სადაა შენი უკომპლექსო გიჟი ცოლი“, „მოგიტ**ნ დედა, სომხეთში რომ გყავს“[27], „მოგიტ**ნ ოჯახი შენნაირი კაცის გაზრდისთვის“, „[კაცი კანდიდატი] აუცილებლად გადაგარჩენთ, თქვენი ფულებით თავის ბოზ ცოლს წაიყვანს უცხოეთში აბორტის გასაკეთებლად“.

[27] ეს იყო ერთ-ერთი იმ ქსენოფობიური კომენტარებიდან, რაც პირდაპირ შეურაცხყოფას შეიცავდა.

## სექსუალური ხასიათის კომენტარები

კაცი კანდიდატების მიმართ გამოთქმული გაკიცხვის ძირითადი ნაწილი ეხებოდა მათი ცოლებისა და დედების სექსუალური ხასიათის აქტივობებს - კომენტარების ავტორები იყენებდნენ ქართულ ენაში ფართოდ გავრცელებულ უხამს ფრაზებსა და ტერმინებს, გინებას. გაცილებით მეტი სექსუალური ხასიათის კომენტარი მიიღეს ქალმა კანდიდატებმა პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით; ასეთი კომენტარების დიაპაზონი ვრცელი იყო: ფლირტის შემცველი კონტენტიდან დაწყებული, სერიოზული პირადი შეურაცხყოფებით დამთავრებული.

შედარებით რბილია კომენტარები კანდიდატების გარეგნობასთან დაკავშირებით, მაგალითად: „მე მაფანატებს შენი სახის მიმიკის, წარბ-წამწამების მოძრაობებზე". ბევრმა ქალმა კანდიდატმა მიიღო არასასურველი წინადადება, მაგალითად „წამო, გოგო, კახეთში გეპატიჟები, „სულ დაგავიწყებ ყველაფერს". ამ საღამოს რას აკეთებ?" ან „პაემანზე თუ დამთანხმდები, ხმას მოგცემ". ასევე იყო პირდაპირი სექსუალური შევიწროვება, მაგალითად „მამაკაცი რომ ვიყო, სიამოვნებით გავიჭედებოდი თქვენთან ერთად ლიფტში" და „სექსაობა უფრო კარგად გამოგდის". კომენტარის ზოგიერთმა ავტორმა ქალი კანდიდატების მისამართით ზედმეტად თამამი ლექსიკა გამოიყენა, მაგალითად, „ბაბუაჩემმა დამირეკა, ქოცები ჭორებს ავრცელებენ, ერთ ხმაში ერთ მინეტს აკეთებსო. რა ბოროტები არიან ეს ქოცები" და „რას წაგკუზავდი ყ**ქალა". კაცი კანდიდატების მისამართით ამ ტიპის კომენტარები არ გაჟღერებულა.

# ონლაინ ძალადობის მოცულობა

31 აგვისტოდან 2 ნოემბრის პერიოდში 364,391 კომენტარიდან 3,595 (1%) მონიტორებმა მონიშნეს, როგორც თავდასხმის ან შევიწროვების შემცველი კომენტარი. თავდასხმის შემცველი მეტი კომენტარი (2502) შეგროვდა ნოემბრის განმავლობაში 2-21.[28] საერთო ჯამში, მონიტორებმა ძალადობის შემცველი უფრო მეტი კომენტარი აღმოაჩინეს კაცი კანდიდატების მიმართ (4,678), ვიდრე ქალის (1,419).[29] შესწავლილი კანდიდატების უმრავლესობაში (63%) ვერ მოიძებნა ონლაინ ძალადობის შემცველი ჩანაწერები. აგრეთვე, სქესის მიხედვით ჩაშლისას ჩანს, რომ შესწავლილი ქალების (49%) ნახევარზე ოდნავ ნაკლების შემთხვევაში ონლაინ ძალადობა არ აღმოჩენილა მაშინ, როცა იგივე მონაცემი კაცებისთვის 66%-ია.

გრაფიკები, რომლებიც აბსოლუტური მაჩვენებლის მიხედვითაა შედგენილი, შესაძლოა დამაბნეველი იყოს, რადგან გამოყენებულია მონაცემთა სრული ბაზა, რომელშიც კაცების მიმართ გაცილებით მეტი კომენტარია დაწერილი. მონაცემებში არსებული დისბალანსის გამო, კვლევის ანგარიში წარმოგიდგენთ როგორც აბსოლუტურ რიცხვებს, ასევე შეურაცხმყოფელი კომენტარების გავრცელების სიდიდეს ონლაინ ძალადობის კოეფიციენტის მიხედვით, რომელიც თავის მხრივ ჩაშლილი იქნება ქვე-ჯგუფებად (მაგალითად, სქესი).

*ფორმულა 1: ონლაინ ძალადობის კოეფიციენტი*

$$\text{ონლაინ ძალადობის კოეფიციენტი} \frac{\text{შეურაცხმყოფელი კომენტარები}}{\text{ყველა კომენტარი}}$$

[28] მონაცემთა შეგროვება ნოემბრიდან გაგრძელდა მხოლოდ მანუალური მეთოდით. ამიტომ, ამ პერიოდში მხოლოდ შეურაცხმყოფელი კომენტარების შეგროვება მოხერხდა. ეს შეუძლებელს ხდის პროპორციის დათვლას, რადგან კანდიდატთა სიაში იყვნენ ისეთებიც, ვის გვერდებზე/პროფილებზე შეურაცხმყოფელი კომენტარები არ აღმოჩენილა.

[29] რაც გასაკვირი არ იყო დაკვირვების ქვეშ მყოფი კანდიდატების საერთო სიაში კაცების სიმრავლის გამო.

ანალიზის შემდგომ აღმოჩნდა, რომ ონლაინ ძალადობის საშუალო კოეფიციენტის მიხედვით, ქალებსა და კაცებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა.[30] ქალებს დაახლოებით სამჯერ მეტად ესხმიან თავს ონლაინ (კომენტარების დაახლოებით 2%), ვიდრე კაცებს (0.6%).

*გრაფიკი 2: ონლაინ ძალადობის კოეფიციენტის განაწილება სქესის მიხედვით*




აღსანიშნავია, რომ საშუალო მნიშვნელობების გრაფიკი ძალიან მგრძნობიარეა გამონაკლისების მცირე რაოდენობის მიმართაც კი; ასევე, დიდი რაოდენობით ნულოვანი მნიშვნელობის მიმართ. თუ ცენტრალურ ტენდენციას ვაფასებთ მედიანის საშუალებით, რომელიც უკიდურესობების მიმართ უფრო მდგრადია, ქალი კანდიდატების მედიანას შემთხვევაში შეურაცხმყოფელი კომენტარების მაჩვენებელი 0.1%-ზე ნაკლებია, ხოლო კაცების მედიანას შემთხვევაში - 0.

[30] $p \leq 0.05$ საშუალოებს შორის განსხვავების საჩვენებლად გამოყენებულია ორმხრივი t-ტესტი. აღსანიშნავია შეზღუდვები, რომელიც სტატისტიკურ მნიშვნელობას ტესტავს. გამოთვლები ჩატარებულია აგვისტოს 31-დან 2 ნოემბრამდე შეგროვებულ მონაცემებზე.

*ცხრილი 4: პირველი ათი კანდიდატი ონლაინ ძალადობის კოეფიციენტის მიხედვით (აგვ.31-ნოემ. 2)*

| სახელი | პარტია | კომენტარი | შეურაცხ მყოფელ | კოეფი ციენტ |
|---|---|---|---|---|
| ირმა ნადირაშვილი | ევროპული საქართველო | 877 | 160 | 18% |
| ბიძინა გეგიძე | დამოუკიდებელი | 78 | 14 | 18% |
| ანი მიროტაძე | ლელო | 1,046 | 145 | 14% |
| ლელა ქებურია | ევროპული საქართველო | 354 | 39 | 11% |
| გიგა ბოკერია | ევროპული საქართველო | 3,686 | 310 | 8% |
| ხათუნა საგინაშვილი | საქართველოს კონსერვატიული პარტია | 12 | 1 | 8% |
| არმაზ ახვლედიანი | ევროპული საქართველო | 981 | 65 | 7% |
| აკაკი ბობოხიძე | ევროპული საქართველო | 101 | 6 | 6% |
| ხათუნა გოგორიშვილი | ევროპული საქართველო | 669 | 35 | 5% |
| ეკა ბესელია | სამართლიანობისთვის | 1,048 | 49 | 5% |

შესწავლილი კანდიდატებიდან, ათ მათგანს თითო კომენტარზე საშუალოდ ონლაინ ძალადობის შედარებით მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა (≥ 5%), აქედან ირმა ნადირაშვილის, ბიძინა გეგიძის, ანი მიროტაძისა და ლელა ქებურიას შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 10%-ს აჭარბებდა. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ონლაინ ძალადობის კოეფიციენტის მნიშვნელობა მაღალია ევროპული საქართველოს კანდიდატებისთვის. აღმოჩნდა, რომ მათ სხვა პარტიებთან შედარებით, ონლაინ ძალადობის მაღალი მაჩვენებელი აქვთ. ონლაინ ძალადობის კოეფიციენტის მიხედვით, პირველ ათ კანდიდატში არ აღმოჩნდა ორი უდიდესი პარტიის: ქართული ოცნებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის არცერთი კანდიდატი.

*ცხრილი 5: პირველი ათი კანდიდატი შეურაცხმყოფელი კომენტარების რაოდენობის (აბსოლუტური რიცხვების) მიხედვით (აგვ.31-ნოემ. 2)*

| სახელი | პარტია | კომენტარი | შეურაცხმ ყოფელი | კოეფი ციენტი |
|---|---|---|---|---|
| გიორგი ვაშაძე | სტრატეგია აღმაშენებელი | 73,175 | 834 | 1% |
| გიგა ბოკერია | ევროპული საქართველო | 3,686 | 310 | 8% |
| ანა დოლიძე | დამოუკიდებელი | 10,360 | 290 | 3% |
| ელენე ხოშტარია | ევროპული საქართველო | 6,118 | 198 | 3% |
| გიგი უგულავა | ევროპული საქართველო | 5,336 | 161 | 3% |
| ირმა ნადირაშვილი | ევროპული საქართველო | 877 | 160 | 18% |
| ანი მიროტაძე | ლელო | 1,046 | 145 | 14% |
| შალვა ნათელაშვილი | საქართველოს ლეიბორისტული პარტია | 10,377 | 138 | 1% |
| ზურაბ ჯაფარიძე | გირჩი | 3,631 | 116 | 3% |

აბსოლუტური მაჩვენებლების მიხედვით, კანდიდატების მიერ მიღებული ონლაინ ძალადობის შემცველი კომენტარების მაჩვენებელი შეგვიძლია აღვიქვათ, როგორც მიღებული კომენტარების რაოდენობის ფუნქცია: რაც უფრო მაღალია კანდიდატის ცნობადობა და Facebook-ზე მისი აქტივობა, როგორც წესი, ის უფრო დიდი რაოდენობის შეურაცხმყოფელ კომენტარს იღებს. აღსანიშნავია გამონაკლისის სახით ორი კანდიდატი: ირმა ნადირაშვილი და ანი მიროტაძე, რომელთაც მცირე Facebook აქტივობის მიუხედავად, ასობით შეურაცხმყოფელი კომენტარი მიიღეს.

როგორც პროპორციული, ასევე აბსოლუტური მნიშვნელობით, ქალი კანდიდატების დიდი რაოდენობა საკმაოდ დიდი რაოდენობის ონლაინ ძალადობას იღებს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი საერთო რაოდენობის მხოლოდ 17%-ს წარმოადგენენ, ონლაინ ძალადობის პროპორციის მიხედვით, ქალები ონლაინ ძალადობის მსხვერპლი კანდიდატების პირველი ათეულის 60%-ს შეადგენენ, ხოლო აბსოლუტური მაჩვენებლის მიხედვით შედგენილი პირველი ათეულის 40%-ს.

როგორც პროპორციული, ასევე აბსოლუტური მაჩვენებლებით, კვლევა გვეუბნება, რომ ონლაინ ძალადობა შედარებით მცირეა ორი ძირითადი პარტიის კანდიდატების მიმართ. ეს გარკვეულწილად მოულოდნელია მათი პროფილისა და პოლემიკაში აქტიური ჩართულობის ფონზე. უნდა აღინიშნოს, რომ კვლევამ ვერ შეძლო შეესწავლა ის შეურაცხმყოფელი კომენტარები, რომლებიც Facebook პოსტებიდან იშლებოდა. აგრეთვე, უფრო დიდ და რესურსებით მდიდარ პარტიას შესაძლოა, ჰყავდეს სრულ განაკვეთზე სოციალურ მედიაზე მიმაგრებული თანამშრომლები, რომლებიც კანდიდატის Facebook გვერდს „ასუფთავებენ"; ეს შესაძლოა, ხსნიდეს ამ პარტიების მიმართ გამოხატული ონლაინ თავდასხმის სიმცირეს. ასევე შესაძლოა, რომ ონლაინ ძალადობის მოცულობა შედარებით მცირე პარტიების შემთხვევაშიც შემცირებული იყოს კომენტარების წაშლის გზით. ქალი კანდიდატების გარკვეულმა ნაწილმა განაცხადა კომენტარების წაშლის შესახებ (იხ. *ქალი მაჟორიტარი კანდიდატების მიერ მოწოდებული ინფორმაცია*), რაც მიანიშნებს რომ ონლაინ ძალადობის მოცულობა სინამდვილეში შესაძლოა, უფრო მაღალი იყოს.

## ონლაინ ძალადობის წყაროები

კვლევა შეეცადა კომენტარის ავტორების სქესსაც დაკვირვებოდა. ეს შესაძლებელი იყო მანუალურად შეგროვებული ყველა მონაცემისთვის, ხოლო NVIVO-საშუალებით ავტომატურად შეგროვებულ ბაზაში ნაწილობრივ, რადგან კომენტარის ავტორის სქესი მითითებული იყო მხოლოდ მცირე ნაწილისთვის. იქ, სადაც სქესი იდენტიფიცირებადი[31] იყო (80,739), აბსოლუტური მნიშვნელობით, კაცების (19,075) უფრო დიდი რაოდენობა აკეთებდა კომენტარს, ვიდრე ქალების (5,729).

[31] 31 აგვისტოდან 2 ნოემბრამდე პერიოდში შეგროვებული მონაცემები.

## ონლაინ ძალადობა და კომენტარის ავტორის სქესი

ხელმისაწვდომი მონაცემებიდან საინტერესო ფაქტი გამოვლინდა: მაჟორიტარი კანდიდატების პოსტებზე განთავსებული შეურაცხმყოფელი კომენტარების გაცილებით დიდი წილი ქალების დაწერილი იყო, ვიდრე კაცების. ქალის მიერ დაწერილი 5,729 კომენტარიდან მონიტორებმა ძალადობის შემცველ კომენტარად 1,120 (20%) შეაფასეს მაშინ, როდესაც კომენტარის კაცი ავტორების შემთხვევაში იგივე მაჩვენებელი 5%-ია.

*ცხრილი 6: უწყინარი და ძალადობრივი კომენტარები მათი ავტორების სქესის მიხედვით*

| კომენტარის ავტორი | უწყინარი | % | ძალადობა | % | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| **კაცი** | 18,093 | 95% | 982 | 5% | **19,075** |
| **ქალი** | 4,609 | 80% | 1,120 | 20% | **5,729** |
| **დაუდგენელი** | 79,246 | 98% | 1,493 | 2% | **80,739** |
| **სულ** | **101,948** | | **3,595** | | **105,543**[32] |

მიუხედავად იმისა, რომ ძალიან საინტერესო ტენდენციაა, ამ გრაფიკების ინტერპრეტირება სიფრთხილეს მოითხოვს. თავდასხმის შემცველი კომენტარების წაშლა მიღებულ პრაქტიკად უნდა ჩავთვალოთ კანდიდატების ძირითადი ნაწილისთვის. ასევე, არ გვაქვს მიზეზი ვიფიქროთ, რომ კომენტარების წაშლა მათი ავტორის სქესის მიხედვით წყდებოდა. ამასთან, საკმაოდ მოულოდნელი იყო, რომ ონლაინ ძალადობის კოეფიციენტი იმ კომენტარებისთვის, რომელთა ავტორის სქესის დადგენაც ვერ მოხერხდა,[33] საკმაოდ მცირე იყო დადგენილი სქესის კომენტარების ავტორებთან შედარებით; შესაძლოა ამის მიზეზი გამორჩეულად აქტიური კანდიდატის გვერდზე (როგორიცაა, მაგალითად, გიორგი ვაშაძე) მონაცემების ავტომატურად შეგროვება იყოს.

[32] ეს რიცხვები არ ემთხვევა კანდიდატების დონეზე მანამდე დასახელებული კომენტარების რაოდენობას, რადგან მანუალური მონიტორინგის შემთხვევაში მხოლოდ ძალადობის შემცველი კომენტარების აღრიცხვა ხდებოდა და არ ითვლებოდა ე.წ. უწყინარი კომენტარები.

[33] იმ ფეისბუქ ანგარიშების შემთხვევაში, რომელთა მფლობელის სქესის დადგენაც სახელით ვერ მოხერხდა.

*გრაფიკი 3: ონლაინ თავდასხმები კანდიდატისა და კომენტარის სქესის მიხედვით*




იმ კომენტარების შემთხვევაში, რომლებიც შეურაცხმყოფლად იყო მონიშნული და ამავდროულად კომენტარის ავტორის სქესის დადგენა მოხერხდა, აღმოჩნდა, რომ ქალები პროპორციულად მეტ ძალადობას ქალებისგან იღებდნენ (შეურაცხმყოფელი კომენტარების 62%), ვიდრე კაცებისგან (38%). ასევე აღმოჩნდა, რომ კაცებიც ონლაინ თავდასხმების უმრავლესობას კაცებისგან იღებენ (53%). როგორც ზემოთ ვახსენეთ, გასათვალისწინებელია, რომ ზემოთ მოყვანილი მაჩვენებლები კომენტარების პროაქტიური წაშლის გამო შესაძლოა, არაზუსტი იყოს. ქალები შესაძლოა, მეტად პროაქტიურები იყვნენ სექსუალური ხასიათის კომენტარების წაშლის მხრივ, ვიდრე სანდოობასთან დაკავშირებული ზოგადი სახის ონლაინ ძალადობის შემთხვევაში, განსაკუთრებით თუ კომენტარის ავტორი კაცია.

# ქალი მაჟორიტარი კანდიდატების მიერ მოწოდებული ინფორმაცია

შეურაცხმყოფელი კომენტარების წაშლა ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა, რის გამოც CRRC-საქართველომ აქტიურად ითანამშრომლა მაჟორიტარობის ქალ კანდიდატებთან და მათი სოციალური მედიის გუნდებთან, რათა შეესწავლა წაშლილი კომენტარების ხასიათი და ის ონლაინ ძალადობა, რომელსაც პოლიტიკოსი ქალები პირადი შეტყობინების სახით იღებდნენ. სამმა კანდიდატმა და ორგანიზაციის „ქალები საქართველოდან“ Facebook გვერდის ადმინისტრაციამ მოგვაწოდა წაშლილი კომენტარებისა და პირად მიმოწერაში მიღებული ონლაინ ძალადობის შემცველი შეტყობინებების 'სქრინშოთები'.

პირად მიმოწერაში მიღებული შეტყობინებები და წაშლილი კომენტარების ნაწილი სექსუალური ხასიათის იყო: იყო როგორც გარეგნობასთან დაკავშირებული კომენტარები, ასევე სტალკერობის დამადასტურებელი. გარკვეული შეტყობინებები, რომელშიც მათ სექსს ან ქორწინებას სთავაზობდნენ, ან შეიცავდა ძალიან სექსუალიზებულ კონტენტს, კანდიდატებმა ერთი და იმავე პიროვნებისგან რამდენჯერმე მიიღეს გარკვეული პერიოდულობით.

კანდიდატებმა და მათმა მედია გუნდმა ასევე წაშალეს არა მხოლოდ სექსუალური ხასიათის კომენტარები, არამედ განსაკუთრებული სიძულვილის შემცველი, გარეგნობასთან, პარტიის აფილიაციასთან, ასაკთან, პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული კომენტარებიც.

# გენდერის ექსპერტის დასკვნა

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა (VAWP) გენდერული ძალადობის სპეციფიურ ფორმას წარმოადგენს და ხშირად სათანადოდ აღიარებული და დოკუმენტირებული არ არის.[34] პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის მიზანია, პოლიტიკაში მყოფი ქალების გაჩუმება, მათთვის, როგორც პოლიტიკური აქტორებისთვის, ლეგიტიმაციის წართმევა, რაც უარყოფით გავლენას ახდენს პოლიტიკაში ქალთა თანაბარ მონაწილეობაზე.

[34] Not the Cost: A Call to Action to End Violence Against Women in Politics, NDI, 2016

გლობალური კვლევა მიიჩნევს, რომ პოლიტიკური კანდიდატების მიმართ ონლაინ ძალადობა მნიშვნელოვანწილად ქალების წინააღმდეგაა მიმართული. მეტიც, ონლაინ ძალადობის დიდი ნაწილი გენდერული ნიშნით ხორციელდება და პატრიარქალურ გენდერულ ნორმებს უკავშირდება. მას საფუძვლად უდევს წარმოდგენები, რომ პოლიტიკაში ქალების ადგილი არ არის. ქალები ასევე ხშირად ხდებიან გამორჩეულად სექსუალური ხასიათის ძალადობის მსხვერპლი. მათი მისამართით ისმის სექსუალური პატრონაჟის ბრალდებები, რაც მათთვის, როგორც პოლიტიკური აქტორებისთვის, ლეგიტიმაციის ჩამორთმევას ისახავს მიზნად. ეს თავდასხმები საჯაროდ შეურაცხყოფს როგორც ქალი კანდიდატების ღირსებასა და ლეგიტიმაციას, ასევე მთლიანად პოლიტიკურ პროცესს და პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის ბარიერებს წარმოადგენს. ყველა, ვინც ჯანსაღი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფაზეა პასუხისმგებელი, მოვალეა, მიიღოს ზომები, რომ ქალი კანდიდატები პოლიტიკურ პროცესებში ისევე მონაწილეობდნენ, როგორც კაცები. კონკრეტული ქმედებებია საჭირო, იმისათვის, რომ პოლიტიკური დიალოგი უსაფრთხო და ცივილურ გარემოში შედგეს და პოლიტიკური კამპანიის წარმოებისას ქალ კანდიდატებს შესაბამისი მხარდაჭერა ჰქონდეთ.

კვლევის საწყის ეტაპზე პროექტის გუნდმა რამდენიმე შეხვედრა მოაწყო ქალ პოლიტიკოსებთან, სადაც გამოვლინდა, რომ მათ უმრავლესობას არ სურს ონლაინ სივრცეში ფსიქოლოგიურ ძალადობაზე და იმ პიროვნულ თუ პოლიტიკურ ზიანზე საუბარი, რასაც მათ ონლაინ შევიწროვება და ძალადობა აყენებს. გარდა ამისა, გენდერული ნიშნით შეურაცხყოფის ცალკეულ ფორმებს ისინი ხშირად ძალადობად არც კი აღიქვამენ. ამის მიზეზი შეიძლება, ისიც იყოს, რომ გენდერული ნიშნით ძალადობის სხვადასხვა ფორმებზე ინფორმაცია არ აქვთ და პოლიტიკურ პარტიებში არ არსებობს მათი იდენტიფიცირებისა და შეტყობინების მხარდამჭერი შიდა მექანიზმები. ძალადობის ერთადერთი ფორმა, რასაც ქალი პოლიტიკოსები აღიარებენ, როგორც ზიანის მომგვრელს, მათი პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელება ან ამასთან დაკავშირებული მუქარაა, რაც ხშირად ონლაინ სივრცეში ინტიმური ვიდეოების გაჟონვას უკავშირდება. ეს დამოკიდებულება ასევე ეხმიანება სტერეოტიპულ მიდგომას, რომ „პოლიტიკა ბინძური საქმეა“ და ქართულ სოციალურ-კულტურულ რეალობაში ზეწოლისა და შეურაცხყოფის ამ შემთხვევებს შეიძლება, „პოლიტიკაში ყოფნის საფასურის“ ინტერპრეტაციაც კი მიეცეს.

გენდერული ნიშნით შეურაცხყოფა და ძალადობა არც კაცი და არც ქალი პოლიტიკოსების კომუნიკაციის სტრატეგიის ნაწილი არ არის. პარტიების პროგრამებში, წინასაარჩევნო გამოსვლებსა და ინტერვიუებში ისინი არ საუბრობენ იმ ბარიერებზე, რასაც ქალი პოლიტიკოსები აწყდებიან, როგორც პოლიტიკაში ყოფნის ერთგვარ საფასურზე. უფრო მეტიც, ისინი გენდერული ნიშნით ძალადობის ზიანზე საუბრისგან დახურულ შეხვედრებზეც იკავებენ თავს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფსიქოლოგიური ძალადობა ონლაინ სივრცეში ნორმალიზებულია პოლიტიკოსების მიერ და ღრმად აქვს ფესვები გადგმული ინდივიდუალურ და სოციალურ-კულტურულ ნორმებში. ან, შესაძლებელია, აღნიშნული თემა მეტად სენსიტიურია წინასაარჩევნო პერიოდში სასაუბროდ. შედეგად, პოლიტიკაში ქალების მიმართ ძალადობის კონკრეტულ შემთხვევებს უმეტესად არ აღიარებენ, ვერ აიდენტიფიცირებენ და არავის ატყობინებენ არც სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები და არც თავად ამ ძალადობის მსხვერპლნი.

გარდა ამისა, თავად ის ფაქტი, რომ არცერთი პარტია არ საუბრობდა წინასაარჩევნო პერიოდში ონლაინ სივრცეში ქალი პოლიტიკოსების მიმართ არაპროპორციულად მეტ შეურაცხყოფასა და ძალადობაზე, მიუთითებს, რომ ქალი პოლიტიკოსების მიმართ ძალადობის პრობლემა აღიარებული არ არის. ასევე პოლიტიკურ პარტიებში არ არსებობს ძალადობის აღმოფხვრისა და პარტიის ქალი წევრების დაცვისკენ მიმართული მექანიზმები.

# რეკომენდაციები

## პოლიტიკურ პარტიებს

პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობაზე მნიშვნელოვანი გავლენა შეიძლება მოახდინოს იმან, თუ როგორ ფუნქციონირებენ პოლიტიკური პარტიები და რა სახის შიდა მექანიზმები . კანონმდებლობა, რომელიც პოლიტიკურ პარტიებსა და საარჩევნო პროცესებს აწესრიგებს, ქალების დისკრიმინაციას არ ახდენს. პირიქით, იგი ახალისებს თანაბარ მონაწილეობას. თუმცა, პოლიტიკურ პროცესებში გენდერული ნიშნით პირდაპირმა თუ არაპირდაპირმა დისკრიმინაციამ, შესაძლოა პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობას ბარიერები შეუქმნას.

**A: გენდერული თანასწორობა გახდეს პარტიის საარჩევნო სტრატეგიის ნაწილი: გენდერული თანასწორობა და ქალთა გაძლიერება მკაფიოდ უნდა აღინიშნოს პოლიტიკური პარტიის ყველა დოკუმენტის, შინაგანაწესისა თუ პოლიტიკის დოკუმენტის (მაგალითად, პოლიტიკური პარტიის პროგრამა) მიზნებსა და პრინციპებში ქალთა თანაბარი მონაწილეობის მხარდასაჭერად.**

პოლიტიკური პარტიების შინაგანაწესი და ძირითადი პოლიტიკის დოკუმენტები წარმოადგენს პარტიების ფუნქციონირების საფუძველს. ამ დოკუმენტების ხასიათზეა დამოკიდებული ის, თუ რა მოსაზრებებს ავრცელებენ და რა სახის პოლიტიკურ კულტურას უჭერენ მხარს პარტიები. პოლიტიკური პარტიების მიერ გენდერული თანასწორობის მხარდაჭერა და შინაგანაწესის გენდერულად მგრძნობიარე ენით გაწერა ხელს შეუწყობს პარტიაში გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას და უკეთესი პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებას. ამასთან, არაპირდაპირ, ეს ასევე დაეხმარება ქალ პოლიტიკოსებს, რომ უფრო თავდაჯერებულად გაახმოვანონ საკუთარი შეხედულებები გენდერული თანასწორობისა და გენდერული ნიშნით ძალადობის (ონლაინ თუ ოფლაინ სივრცეებში) შესახებ პოლიტიკური პარტიის პოზიციიდან. *აუცილებელია, რომ საარჩევნო კამპანიების დროს, კომუნიკაციისას, პოლიტიკურმა პარტიებმა და კანდიდატებმა გააკეთონ განცხადებები თანასწორობის მხარდასაჭერად და დისკრიმინაციის წინააღმდეგ, განსაკუთრებით ონლაინ სივრცეში. ასევე, მომდევნო არჩევნებამდე პოლიტიკურმა პარტიებმა ერთობლივად უნდა შეიმუშაონ ურთიერთგაგების მემორანდუმი და ყველამ ერთად*

*საჯარო პირობა დადოს, რომ არ მიმართავენ ონლაინ შეურაცხყოფისა და პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის არცერთ ფორმას.* სამწუხაროდ, საქართველოს რეალობაში ძალიან ხშირად პოლიტიკური პარტიების შინაგანაწესსა და საჯარო პოლიტიკის დოკუმენტებში საერთოდ არ გვხვდება მითითება გენდერულ თანასწორობაზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ *პოლიტიკურმა პარტიებმა აღიარონ და შეისწავლონ ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ბარიერები და, საჭიროების შემთხვევაში, შეცვალონ შიდა პარტიული ქცევა და პრაქტიკა, მათ შორის სამუშაო საათების განაწილება და გადაწყვეტილების მიღების პროცესი, იმისთვის, რომ მხარი დაუჭირონ ქალთა თანაბარ ჩართულობასა და მათ მიერ ხელმძღვანელი პოზიციების დაკავებას.*[35]

**B: გენდერული თანასწორობა უნდა გახდეს პარტიის პოლიტიკური კომუნიკაციის სტრატეგიის ნაწილი, ონლაინ საკომუნიკაციო არხების ჩათვლით.**

აღნიშნული აუცილებელია პარტიაში და წინასაარჩევნო კამპანიაში ქალთა წარმომადგენლობის გასაზრდელად. თანაბარი წარმომადგენლობა პოლიტიკურ პარტიებს დაეხმარება, გასცდნენ უბრალო რიტორიკას და პოლიტიკური კამპანიის წარმოებისას რეალური ცვლილება განახორციელონ. სამწუხაროდ, სოციალურ მედიასა თუ ზოგადად პროცესზე დაკვირვების შედეგად ირკვევა, რომ საარჩევნო კამპანიისას ქალი კანდიდატები ხშირად „კადრს მიღმა“ რჩებიან და მათ პარტიის ლიდერები (უმეტესად, კაცები) წარმოადგენენ. როგორც წესი, ისინი მათ ნაცვლად საუბრობენ, დომინირებენ საარჩევნო კამპანიის პოსტერებზე, პარტიის კომუნიკაციისას და მედიაში. წინასაარჩევნო კამპანიაში ქალი პოლიტიკოსების უკეთ წარმოჩენისთვის პოლიტიკურმა პარტიებმა: ა) უნდა ჩატარონ კვლევა მედიაში (მათ შორის ონლაინ მედიაში) ქალი პოლიტიკოსების გაშუქების შესახებ და შესაბამისად დაგეგმონ ონლაინ კამპანია; ბ) შექმნან პროფილები და გამოაქვეყნონ მონაცემები პოლიტიკურ პარტიებში ქალთა ხელმძღვანელი როლის შესახებ; გ) პოლიტიკური კამპანიის პროცესში, მათ შორის ონლაინ, ადვოკატირება გაუწიონ მეტად თანასწორ საზოგადოებასა და ქალთა უფლებებს და შეცვალონ წარმოდგენა პოლიტიკურ პროცესებზე.

[35] Ibid.

**C: უნდა დაწესდეს შიდა გენდერული კვოტა (ფორმალური და არაფორმალური)[36], რათა შეიცვალოს ქალთა ისტორიულად მცირე წარმომადგენლობა პოლიტიკაში, მათ შორის ხელმძღვანელ პოზიციებზე და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.**

გენდერული თანასწორობის საკითხების ჩართვა კომუნიკაციის სტრატეგიაში საკმარისი არ არის ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის კუთხით არსებული დანაკლისის შესავსებად, რადგან, საქართველოში გადაწყვეტილების მიმღები პირები და პარტიის ლიდერები უმეტესად კაცები არიან. პოლიტიკურ კარიერაში წინსვლისთვის ქალები სხვადასხვა ბარიერს აწყდებიან. შესაბამისად, აუცილებელია შიდა გენდერული კვოტების დაწესება პოლიტიკურ პარტიებში ქალი ლიდერებისა და გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ქალთა რაოდენობის გასაზრდელად. პოლიტიკურმა პარტიებმა: ა) თავი უნდა აარიდონ ზედაპირულ ძალისხმევას პარტიაში ქალთა რაოდენობის გასაზრდელად, როგორიცაა პარტიის ქალთა ფრთისა და ქალთა კლუბების ჩამოყალიბება, რასაც ინსტიტუციური ძალაუფლება და რესურსები აკლია; და ბ) პოლიტიკური შერჩევის ინიციატივები მოარგონ სხვადასხვა გამოცდილების მქონე ქალის მოზიდვას პარტიაში და უზრუნველყონ მათი შესაძლებლობების შესაბამისი გამოვლენა პარტიაში. შიდა მექანიზმების შემუშავებასთან ერთად, *პარტიებმა მხედველობაში უნდა მიიღონ დათქმა გენდერული კვოტების დასრულების ვადის შესახებ. კაცებსა და ქალებს შორის ბალანსის მიღწევა გრძელვადიანი პროცესია და მისი ვადა არ უნდა იწურებოდეს განხორციელების საწყის ეტაპზე.*[37]

**D: პოლიტიკურ პარტიებში უნდა შეიქმნას შიდა მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს პარტიის წევრთა ცნობიერების ამაღლებას ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის ნებისმიერი ფორმის (მათ შორის ონლაინ ძალადობის) იდენტიფიკაციის, პრევენციისა და შესაბამისი რეაგირების მიმართულებით.**

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა, განსაკუთრებით ონლაინ სივრცეში, ხშირად სტიგმატიზებულია. ამგვარ ქცევას ხშირად ვერ აიდენტიფიცირებენ

[36] საკანონმდებლო ბაზა სხვადასხვა სახის კვოტირების სისტემას იცნობს: კვოტები, რომლებიც კანონმდებლობითაა განსაზღვრული; კვოტები, რომლებსაც პოლიტიკური პარტიის შინაგანაწესი და საჯარო პოლიტიკის დოკუმენტები (ფორმალური) განსაზღვრავს; და უფრო არაფორმალური, ე.წ. „რბილი კვოტები“, რომლებიც პოლიტიკური შერჩევის პროცესში კანდიდატების შერჩევისას გენდერულ უთანასწორობას აბალანსებს.

[37] Georgia Election Watch, NDI, 2020

ძალადობად პოლიტიკურ პარტიებში ამ საკითხთან დაკავშირებით ცნობიერების დაბალი დონის გამო. პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა როგორც პირად, ასევე საჯარო სივრცეში ხდება და არ მოიცავს მხოლოდ ფიზიკური ძალადობის შემთხვევებს. რეალურად, იგი შედგება პირადად ქალი პოლიტიკოსების მიმართ და, მზარდი ტენდენციით, ონლაინ სივრცეში განხორციელებული მოქმედებებისგან (კიბერ-ბულინგის ჩათვლით), და მიმართულია იმისკენ, რომ გააკონტროლოს, შეზღუდოს ან საერთოდ წინ აღუდგეს ქალთა სრულ და თანაბარ მონაწილეობას პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.[38] შესაბამისად, პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა შეიმუშაონ კანდიდატების შერჩევის უფრო გამჭვირვალე და დემოკრატიული პროცესები, ქალი კანდიდატები უნდა იყვნენ წარმოდგენილი კანდიდატთა სიის პირველ ათეულებში და ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში მათ უნდა ჰქონდეთ ხელმძღვანელი პოზიციების დაკავების თანაბარი შესაძლებლობა. იმ პოლიტიკურმა პარტიებმა, ვინც კვოტის გადაჭარბებით შესრულებისთვის ბონუს დაფინანსება მიიღო, ამ თანხით უნდა დააფინანსოს ინიციატივები, რაც მხარს დაუჭერს მათ ორგანიზაციებში ქალთა გაძლიერებას.[39] ამასთანავე, მნიშვნელოვანია, ა) პარტიებმა შექმნან ეფექტური შიდა მექანიზმები პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის (ონლაინ თუ ოფლაინ) პრევენციისა და მასზე რეაგირებისთვის; და ბ) დაგმონ გენდერული ნიშნით ძალადობის შემთხვევები პოლიტიკურ პარტიებში.[40]

## საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას რეკომენდაცია ეძლევა, წაახალისოს ყველა პოლიტიკური აქტორი, რომ მხარი დაუჭირონ ქალთა და კაცთა თანაბარ მონაწილეობას პოლიტიკურ პარტიებში იმ მიზნით, რომ საჯარო სამსახურის არჩეულ თანამდებობებზე, გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე

[38] Not the Cost: A Call to Action to End Violence Against Women in Politics, NDI, 2016

[39] Georgia Election Watch, NDI, 2020

[40] 2019 წელს, თბილისის საკრებულოს წევრს წაუყენეს სექსუალური ძალადობის ბრალდება, ხოლო 2020 წელს პარლამენტის წევრი თელავიდან დააკავეს ოჯახში ძალადობისთვის. მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაა იდენტიფიცირებული და არცერთ მათგანს სათანადო ყურადღება არ მიაქციეს შესაბამისმა პოლიტიკურმა პარტიებმა, რაც პრევენციული ზომა შეიძლება, ყოფილიყო პოლიტიკოსებისთვის მომავალში.

გენდერულად უფრო დაბალანსებული შემადგენლობა იყოს.[41] შესაბამისად, რეკომენდირებულია, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ:

**A: ჩაატაროს კამპანიები პოლიტიკური პარტიებისა და მათი მხარდაჭერების ცნობიერების ასამაღლებლად არჩევნებზე ქალთა მიმართ ძალადობის ონლაინ თუ ოფლაინ ფორმებზე და უზრუნველყოს არჩევნებზე ქალთა მიმართ ძალადობის ყველანაირი ფორმის ძალადობის მონიტორინგისა და რეაგირებისთვის საჭირო მექანიზმების დანერგვა.**

**B: უზრუნველყოს, რომ პოლიტიკურ პარტიებს ჰქონდეთ ისეთი ქცევის კოდექსი, რომელიც პარტიებსა და კანდიდატებს აუკრძალავს ქალთა მიმართ ონლაინ ძალადობის განხორციელებასა და ამის წახალისებას.**

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ყურადღება უნდა გაამახვილოს რა წარმოადგენს  პოლიტიკაში ქალთა მიმართ  ძალადობას, მათ შორის ონლაინ სივრცეში და რატომაა ის მიუღებელი როგორც კანონმდებლობის, ისე საზოგადოებრივი ღირებულებების გათვალისწინებით და რა მხრივ ეწინააღმდეგება დემოკრატიის, ადამიანის უფლებების, ჩართულობისა და თანასწორობის პრინციპებს.

## საქართველოს პარლამენტს

ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ სპეციალური მომხსენებლის დუბრავკა სიმონოვიჩის თქმით, პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობისას სამიზნედ ქალების ამორჩევა მათი პოლიტიკური აქტიურობის გამო ხდება, ასევე იმიტომ, რომ ისინი ქალები არიან და პოლიტიკურად აქტიურობენ.42  საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩო არ მოიცავს პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის კონკრეტულ განსაზღვრებას. შესაბამისად, რეკომენდირებულია, რომ საქართველოს პარლამენტმა:

**A: არსებულ საკანონმდებლო ჩარჩოში ასახოს პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის საწინააღმდეგო მოქმედებები და საკითხი დაუკავშიროს ქალთა**

[41] Women in Political and Public Life, OSCE Athens Ministerial Council, 2009

[42] პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა, ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა და რეკომენდაციები, 2018

**მიმართ ძალადობის და/ან თანასწორი პოლიტიკური მონაწილეობის შესახებ კანონებს.**

კანონი მკაფიო უნდა იყოს იმასთან დაკავშირებით, თუ რას მოიცავს პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა, ასევე, იმასთან დაკავშირებით, თუ ვის შეუძლია ამ საკითხთან დაკავშირებით მიმართოს სამართალდამცავ უწყებებს და როგორია მიმართვიანობის მექანიზმი.

**B: დამატებით გამოიკვლიოს პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის ფორმები (მათ შორის, ონლაინ სივრცეში), როგორ მჟღავნდება იგი ქართულ სოციალურ-კულტურულ რეალობაში და რა გავლენას ახდენს პარლამენტის წევრ ქალებზე.**

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული კვლევა განხორციელდეს პარლამენტის წევრების კონფიდენციალური გამოკითხვის გზით, ონლაინ და ოფლაინ სივრცეებში, პოლიტიკური საქმიანობისა და არჩევნების პერიოდში ძალადობის მათეული გამოცდილების შესახებ, მათ შორის ძალადობის შემთხვევების შესახებ პარლამენტსა და პარტიებში. ასეთი კვლევა აამაღლებს ცნობიერებას საკითხის შესახებ და გამოავლენს კონკრეტულ ფორმებს, რითიც ასეთი ძალადობა შეიძლება გამოვლინდეს, განსაკუთრებით საპარლამენტო სივრცეში. ამასთან, მნიშვნელოვანია, კვლევის მიგნებების მიხედვით განახლებულ იქნას საქართველოს პარლამენტის წევრი ეთიკის კოდექსი და შემუშავებულ იქნას სტრატეგია პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმასთან საბრძოლველად.

**C: აამაღლოს პარლამენტის წევრების (კაცებისა და ქალების) ცნობიერება პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობასა და მის ყველა გამოვლინებაზე.**

ამისთვის უნდა ჩატარდეს ტრენინგი პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის ხასიათის, ფორმებისა და მისი გავლენების შესახებ. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ პოლიტიკოსები ზოგჯერ ქალთა მიმართ ცალკეულ შეურაცხმყოფელ ქმედებებს ვერ აიდენტიფიცირებენ ძალადობად და მათ დისკრიმინაციულად არ მიიჩნევენ. ასეთი ტრენინგი შეიძლება, მოიცავდეს როგორც პარლამენტის წევრებს შორის გენდერული სენსიტიურობისა და ცნობიერების ზრდას, ასევე მათთვის ინფორმაციის მიწოდებას იმ რესურსებსა და მექანიზმებზე, რაც უკვე არსებობს პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების კუთხით.

**D: მიიღოს რეზოლუცია, რომელიც დაგმობს პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობას, მის ყველა ფორმას, და შექმნას პლატფორმა პარლამენტში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო პრაქტიკისა და საერთაშორისო გამოცდილების გასაზიარებლად.**

პარლამენტის წევრებს უნდა მოუწოდონ, რომ დააფიქსირონ მხარდაჭერა ამ პრობლემის წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს ხელს შეუწყობს ამ ტიპის ძალადობაზე ცნობიერების ამაღლებას და პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობას პრიორიტეტულ საკითხად აქცევს. რეზოლუცია/ახალი პლატფორმის მიღება საუკეთესო პრაქტიკის გასაზიარებლად შეიძლება, დროში დაემთხვას რაიმე ეროვნულ ან საერთაშორისო მოვლენას, ქალთა დღეს, ან მომავალი არჩევნების დღის გამოცხადებას, უკეთესი მხარდაჭერის მისაღებად.

## საქართველოს მთავრობას

**A: პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის საკითხი პრიორიტეტად გამოაცხადოს სამართალდამცავი ორგანოებისა და სახელმწიფო უწყებებისთვის, რომლებიც მუშაობს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციასა და ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებაზე.**

მნიშვნელოვანია ამ პროცესში გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის ჩართულობა.

**B: შეიმუშავოს და დანერგოს პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის, მათ შორის ონლაინ ძალადობის შესახებ საჩივრების დარეგისტრირებისა და მასზე რეაგირების სპეციალური მექანიზმები როგორც ახალ, ასევე არსებულ სახელმწიფო სტრუქტურებში, პოლიციის განყოფილებების, საარჩევნო ადმინისტრაციისა და საქართველოს სახალხო დამცველის ჩათვლით.**

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის სპეციფიკის გამო, რომლის სამიზნეც შეიძლება იყვნენ ქალი ამომრჩევლები, აქტივისტები, პარტიის წევრები, კანდიდატები თუ საჯარო მოხელეები, მთავრობას შეიძლება, დასჭირდეს რამდენიმე უწყების ჩართვა ამ საკითხზე მიმართვიანობის მექანიზმების შემუშავებისა და ძალადობის მსხვერპლთათვის შესაბამისი სერვისების მიწოდებისთვის.

## საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

**A: პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის საწინააღმდეგო მოქმედებები ასახოს რისკების შეფასების არსებულ მეთოდოლოგიასა და მონიტორინგის მექანიზმებში.**

ამის განხორციელება მნიშვნელოვანია პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე სამართალდამცავი სტრუქტურების მხრიდან ეფექტური რეაგირების უზრუნველსაყოფად.

**B: აამაღლოს სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენელთა ცნობიერება პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობაზე, მათ შორის, ონლაინ სივრცეში.**

მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის სპეციფიკასა და განსხვავებულ ფორმებზე, ასევე სპეციალურ პრევენციისა და რეაგირების მექანიზმებზე. უფრო კონკრეტულად, მნიშვნელოვანი იქნება განგრძობითი ტრენინგების ჩატარება სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლებისათვის, რათა მათ, ვისაც უშუალოდ ძალადობის მსხვერპლებთან აქვს შეხება, ჰქონდეთ ამ ტიპის ძალადობის იდენტიფიცირების უნარი და მზაობა ძალადობის მსხვერპლთა/გადარჩენილთა დასახმარებლად.

## მედია საშუალებებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს

**A: პოლიტიკურ პარტიებთან და არჩეულ თანამდებობის პირებთან ადვოკატირება გაუწიონ პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის საკითხს; მოაწყონ სამოქალაქო საზოგადოების შეხვედრები, სადაც სხვადასხვა ჩართული მხარეები განიხილავენ პოლიტიკაში ქალთა მიმართ ონლაინ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის გზებს და ცვლილების დასაჩქარებლად საჭირო ინტერვენციას საქართველოს კონტექსტში.**

მნიშვნელოვანია, უკეთ ხდებოდეს ქალი პოლიტიკოსების მიმართ ძალადობის შემთხვევების ამოცნობა და მეტი ყურადღება ექცეოდეს ამ საკითხს. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ მედია საშუალებების წარმომადგენლებს უკეთ ესმოდეთ, რას ნიშნავს დისკრიმინაციული გაშუქება და როგორ გააშუქონ პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის თემა, მისი ონლაინ და ოფლაინ ფორმები, გენდერულად მგრძნობიარეფორმით.

**B: არჩევნებზე დაკვირვების ფარგლებში გააგრძელონ საარჩევნო დამკვირვებლებისა და სამოქალაქო ორგანიზაციების მხარდაჭერა პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის (ყველანაირი ფორმით, მათ შორის, ონლაინ სივრცეში) მონიტორინგის განხორციელებაში. განსაკუთრებით, მოხდეს იმ ორგანიზაციების გაძლიერება, რომლებიც ამონიტორინგებენ სოციალურ მედიასა და დეზინფორმაციას არჩევნების პერიოდში, პოლიტიკაში ქალთა მიმართ ონლაინ ძალადობის მიმართულებით.**

აღნიშნულის შედეგად შეგროვდება მონაცემები და ცოდნა, რომელსაც გამოიყენებენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები, სამოქალაქო აქტივისტები და სამთავრობო სტრუქტურები იმისთვის, რომ ეფექტურად ებრძოლონ პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობას.

# ბიბლიოგრაფია


- CrowdTangle Team (2020). CrowdTangle. Facebook, Menlo Park, California, United States. List ID: Georgian far-right pages: 1442423, Government trolls: 1446319, Majoritarian candidates: 1450933, Pages that troll politicians: 1465612, Party Facebook pages: 1442051
- "Georgia Takes on Male-Dominated Parliament with Gender Quotas." Eurasianet. 2020. https://eurasianet.org/georgia-takes-on-male-dominated-parliament-with-gender-quotas, ანგარიშის ავტორებმა ბმული ბოლოს გახსნეს 2021 წლის 17 მარტს.
- "Georgia: An Information Ecosystem Assessment". Internews საქართველო. 2021. https://internews.org/resource/georgia-information-ecosystem-assessment?fbclid=IwAR2Lvrt_5O2vhKMSDp-CtDM_DtYyF7oTUur1s5QyaqJMFJlb5tNh4ScGd7k
- Krook, Mona Lena. 2020. "Violence against Women in Politics." How Gender Can Transform the Social Sciences, Springer.
- „ეკა ბესელია მის წინააღმდეგ განხორციელებული „მორალური ტერორის" უკან მდგარი პირების გამოვლენას ითხოვს." 2019. Civil.Ge. At https://civil.ge/ka/archives/274895, ანგარიშის ავტორებმა ბმული ბოლოს გახსნეს 2021 წლის 17 მარტს.
- Schneider, Paige, and David Carroll. 2020. "Conceptualizing More Inclusive Elections: Violence against Women in Elections and Gendered Electoral Violence." Policy Studies 41, no. 2–3 Taylor & Francis: 172–89.
- „ყველაზე ხშირი ინტერნეტ აქტივობა - ვიყენებ Facebook-ს (%)." კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი. 2019. კავკასიის ბარომეტრი საქართველო, 2019. https://caucasusbarometer.org/ge/cb2019ge/INTACFB/
- "Georgia's sex-tapes politics returns". Eurasianet. 2019. https://eurasianet.org/georgias-sex-tapes-politics-returns

- „საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ." საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში. 2018. https://www.ombudsman.ge/res/docs/2019042620571319466.pdf
- „საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ." საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში. 2016. https://drive.google.com/file/d/11H2Ywr72aNiTwurAjO3Q8fNiqCqj1JvW/view
- „იკითხე პოლიტიკა". ჰაინრიხ ბიოლის ფონდი. 2020: http://feminism-boell.org/ka/ikitkhe-politika
- "Violence against women in political parties: analysis of the situation in Tunisia". NDI. 2019. https://www.ndi.org/sites/default/files/02-12-2019_Tunisia%20%281%29.pdf
- "Not the Cost: A Call to Action to End Violence Against Women in Politics". NDI. 2016
- "Georgia Election Watch". NDI. 2020
- "Women in Political and Public Life". OSCE Athens Ministerial Council. 2009
- "პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა". ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა და რეკომენდაციები. 2018

# დანართი 1: მეთოდოლოგია

Facebook-ზე მაჟორიტარობის კანდიდატების მიმართ ძალადობის შესახებ კვლევა ყურადღებას ამახვილებს ონლაინ ძალადობაზე, რაც Facebook პოსტების კომენტარებში ხორციელდება. კვლევის მთავარი ფოკუსი მაჟორიტარობის ქალი კანდიდატები არიან, თუმცა, შედარების გაკეთების მიზნით, დაკვირვება კაცი კანდიდატების გვერდებზეც მიმდინარეობდა.

## მონაცემების შეგროვება

კვლევითი კითხვებიდან გამომდინარე საჭირო იყო მონაცემების გაანალიზება კომენტარების დონეზე, რადგან ონლაინ ძალადობა სწორედ კომენტარებში იკვეთებოდა. Facebook აპლიკაციის პროგრამული ფორმა (API) არ უზრუნველყოფს წვდომას კომენტარებზე, ამიტომაც CRRC-საქართველომ რამდენიმე გზას მიმართა მაჟორიტარობის კანდიდატების პოსტების კომენტარებზე დაკვირვებისთვის: კვლევაში გამოვიყენეთ NVIVO პროგრამის ვებ ხელსაწყოს მიერ ავტომატურად შეგროვებული მონაცემები, გვერდების მანუალური (ე.წ. „ხელით“) მონიტორინგი, კანდიდატების მიერ მოწოდებული ინფორმაცია ძალადობის შესახებ. მონაცემების შეგროვების ყველა ამ ხერხს გარკვეულწილად ავსებდა მონაცემები პოსტების დონეზე CrowdTangle პლატფორმიდან.

### NVIVO

NVIVO პროგრამის ვებ ხელსაწყო საშუალებას გვაძლევს, ჩამოვტვირთოთ მონაცემები კომენტარების შესახებ საჯარო Facebook გვერდებიდან, საჯარო ჯგუფებიდან და დადასტურებული Facebook ანგარიშებიდან (პროფილებიდან), თუმცა, არა ჩვეულებრივი პროფილებიდან. სრულ კომენტარებსა და მეტადატაზე წვდომის შესაძლებლობას უამრავი უპირატესობა აქვს, მათ შორის მონიტორინგის

პროცესის დაჩქარება, ხარისხის კონტროლის გაადვილება და პოტენციურად ფართომასშტაბიანი მონაცემების უფრო კომპლექსური მოდელირება. ამიტომაც NVIVO-ს ეს ხელსაწყო თავდაპირველად პროექტში მონაცემების შეგროვების უპირატესი მეთოდი იყო. სამწუხაროდ, ეს პროგრამა საკმარისად სანდო არ გამოდგა, რადგან ვერ შეძლო ინფორმაციის მოპოვება დიდი რაოდენობით გვერდებიდან - მათ შორის, აქტიური და ცნობილი ქალი კანდიდატების გვერდებიდან. შეგროვებული მონაცემები ასევე ყოველთვის თანმიმდევრული არ იყო და ზოგ შემთხვევაში კომენტარის დამწერის სახელზე ინფორმაციას არ აგროვებდა.

## მანუალური („ხელით“) მონიტორინგი

კვლევის საწყის ეტაპზევე, CRRC საქართველომ ავტომატურად შეგროვებულ მონაცემებთან ერთად დაიწყო მანუალური მონიტორინგი, როცა იმ კანდიდატებისთვის, ვისი ინფორმაციაც ავტომატურად ვერ შეგროვდა, მონიტორები შედიოდნენ კანდიდატების Facebook გვერდზე და უშუალოდ იქ ნახულობდნენ მათ პოსტებსა და პოსტებზე კომენტარებს. ასეთ შემთხვევაში მონიტორები აღრიცხავდნენ მხოლოდ შეურაცხყოფისა და ძალადობის შემცველ კომენტარებს. მიუხედავად იმისა, რომ ავტომატურად მოგროვებულ მონაცემებს ბევრი უპირატესობა აქვს, მანუალური შეგროვების მიდგომა ძალიან ეფექტური გამოდგა და, საბოლოო ჯამში, ჩაანაცვლა მონაცემების ავტომატურად შეგროვება, რადგანაც რთულდებოდა განსხვავებული გზით შეგროვებული მონაცემთა ბაზების კონსოლიდაცია.

## CrowdTangle და იმპუტაცია

მანუალური მონიტორინგის შეზღუდვა მხოლოდ მონიტორინგის განხორციელების სიჩქარესა და მოცულობას არ ეხებოდა. რადგანაც მონაცემები მხოლოდ ძალადობის შემცველ კომენტარებზე გროვდებოდა, მნიშვნელოვანი სიცარიელე გაჩნდა მონაცემთა ბაზაში, რადგანაც არ გვქონდა ინფორმაცია კანდიდატების პოსტებზე კომენტარების საერთო რაოდენობის შესახებ.

ამ პრობლემის გადასაჭრელად CRRC-საქართველომ გამოიყენა CrowdTangle პლატფორმა იმისთვის, რომ პოსტებისა და კომენტარების რაოდენობის იდენტიფიცირება მოეხდინა თითოეული კანდიდატის შემთხვევაში იმ პერიოდისთვის, რისი მონიტორინგიც მიმდინარეობდა. ამ მიდგომამ უზრუნველყო

თანმიმდევრული მონაცემები კანდიდატებისთვის მათი გვერდებისა და გადამოწმებული პროფილების შესახებ. თუმცა, მანუალურად დამონიტორინგებული 28 კანდიდატი (13%) ამ სოციალურ ქსელში აქტივობისთვის საჯარო პროფილს იყენებდა (CrowdTangle-ის კი მხოლოდ საჯარო გვერდებსა და გადამოწმებულ პროფილებზე აქვს წვდომა). დანაკლისი მონაცემებისთვის CRRC-საქართველომ გამოიყენა მულტივარიაციულ OLS რეგრესიაზე დაფუძნებული იმპუტაციის სტრატეგია.

## კანდიდატების მიერ პირდაპირ მოწოდებული ინფორმაცია

პროექტის მოსამზადებელ ეტაპზე, NDI საქართველოს გუნდის წევრებმა ორგანიზება გაუკეთეს CRRC-საქართველოს კვლევის გუნდის შეხვედრებს მაჟორიტარობის ქალ კანდიდატებთან და/ან მათი სოციალური მედიის გუნდებთან. CRRC-ის წარმომადგენლებმა წარადგინეს პროექტის მიზანი, კვლევის დიზაინი და მიდგომა, რის გამოყენებასაც გეგმავდნენ, და მათ უკუკავშირი სთხოვეს. ასევე, სთხოვეს, გაეზიარებინათ საკუთარი გამოცდილება სოციალურ მედიაში ძალადობისა და შეურაცხყოფის შესახებ. შეხვედრები ძალიან დაეხმარა მონაცემების კოდირების კატეგორიების შემუშავების პროცესს.

გარდა ამისა, CRRC-საქართველომ გააკეთა ელ.ფოსტა, რომელზეც ქალ კანდიდატებსა და მათი სოციალური მედიის გუნდს შეეძლოთ, შეტყობინება გამოეგზავნათ მათ მიერ წაშლილი შეურაცხმყოფელი კომენტარების და/ან პირადი შეტყობინების ფორმით მოსული ტექსტების შესახებ. საერთო ჯამში, სამი კანდიდატისა და „ქალები საქართველოდან“ გვერდის სოციალური მედიის წარმომადგენლებმა გამოგზავნეს წაშლილი კომენტარები და პირად შეტყობინებაში მისული ტექსტები.

## მონაცემების კონფიდენციალობა, დაცვა და შენახვა

მონიტორინგის ამ პროექტში შეგროვებული მონაცემები თავმოყრილია მონაცემთა ბაზაში (Excel ფორმატით) და ინახება CRRC-საქართველოს კომპიუტერში. მასზე წვდომა აქვს ორ მკვლევარს, რომელიც პროექტში დასაწყისიდანვე ჩართული იყო. რადგანაც მონაცემთა ბაზა შეიცავს ძალადობის შემცველი კომენტარების სრულ ტექსტს, რომლის მიხედვითაც ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია ადრესატის იდენტიფიცირება, მონაცემთა ბაზა არ გასაჯაროვდება და მესამე მხარეს არ გადაეცემა.

# კოდირება

მონაცემების კოდირება (მათთვის სხვადასხვა კატეგორიის მისადაგება) მიმდინარეობდა „ხელით“, ორი მონიტორის მიერ. კატეგორიები მკვლევართა გუნდმა გენდერის ექსპერტთან თანამშრომლობით შეიმუშავა. ამ პროცესს წინ უძღოდა მაჟორიტარობის ქალ კანდიდატებთან და მათი სოციალური მედიის გუნდთან შეხვედრა. ამ შეხვედრებზე ქალმა პოლიტიკოსებმა და მათმა მხარდამჭერმა გუნდა მკვლევრებს გაუზიარეს ინფორმაცია რეალურ ცხოვრებასა და სოციალურ ქსელში თავდასხმების შესახებ.

კატეგორიები, რომელთა მიხედვითაც მონიტორინგისას კოდირება მიმდინარეობდა, შემდეგია:

- ასაკთან დაკავშირებული შეურაცხყოფა/თავდასხმა,
- გარეგნობასთან დაკავშირებული შეურაცხყოფა/თავდასხმა,
- ოჯახთან/პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული შეურაცხყოფა/თავდასხმა,
- გენდერულ როლებთან დაკავშირებული შეურაცხყოფა/თავდასხმა,
- კანდიდატის პროფესიონალიზმთან, გონებრივ შესაძლებლობებთან, მის ჭკუასა და განათლებასთან დაკავშირებული შეურაცხყოფა/თავდასხმა,
- ობიექტივიზაცია,
- ნდობა/სანდოობასთან დაკავშირებული თავდასხმა,
- მიზოგინია, სიძულვილი, ზოგადი შეურაცხყოფა,
- პარტიასთან დაკავშირებული შეურაცხყოფა/თავდასხმა,
- ფსევდო კომპლიმენტები.

გარდა ამისა, მონიტორები ინიშნავდნენ საკვანძო სიტყვებს, რაც ძალადობის შემცველ კომენტარებში გამოიყენებოდა.

# დანართი 2: საკვანძო სიტყვების ვიზუალიზაცია

## ქალი და კაცი მაჟორიტარი კანდიდატების მიმართ ძალადობის შემცველი კომენტარებიდან ამოკრეფილი საკვანძო სიტყვების ვიზუალიზაცია

ვირთხა
იდიოტი
ტყეილი
მკვლელი
ნაბოხარიუსინდისო
მიშას
ბინა
ბინა
ბინა

# ქალი მაჟორიტარი კანდიდატების მიმართ სიძულვილისა და მიზოგინიის შემცველი კომენტარებიდან ამოკრეფილი საკვანძო სიტყვების ვიზუალიზაცია

ვაი-შენ-პატრონს
ბოზი
ნაძირალა
ქაჯი
ნაცხროვა
ლიბერასტი
ოიავხედი
ლორი
იდიოტი
სინდისი
მოგათრიეს
ბანდა
ბანდა
ბანდა